გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველების გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№407 (466) 6-20 ივნისი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

ბორის დავითაია: ცოტნე დადიანისა და შოთა რუსთაველის დანათესავება

გვ.2

ლადო ქირია: მუზეუმების ბუმი ზუგდიდში

გვ.3

ომარ გოცაძე: სიტყვა წარმოთქმული მუხრან მაჭავარიანის ბიუსტის გახსნაზე

გვ.5

ჰამლეტ ჭიპაშვილი: მანჩესტერის ტერაქტი

გვ.3

ლალი ფაცია: მე არ მწამს ღმერთის, მაგრამ მეშინია მისი... — გაბრიელ გარსია მარკესის გენიალური გამონათქვამები

გვ.6

თენგიზ კუბლაშვილი: უარესის მოლოდინში

გვ.6

ჭ. ჰამლეტიძე: ამერიკაში კვირიკაშვილის მიღებით გულმოკლული საქართველო

გვ.8

გელა ჯიღაური: საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

გვ.7

გვ.4

ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

10-15 წელიწადში შუა და ცენტრალურ აზიაში წყლის რესურსებისთვის შესაძლოა მასშტაბური ომი დაიწყოს

გვ.9

ილორი

ცოტნე დადიანისა და შოთა რუსთაველის დანათესავება

(როსტომ ჩხეიძის ერთი მონოგრაფიის გამო)

გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“, „დროის იეროგლიფების“** თემით, გამოქვეყნდა რამდენიმე ესე და მონოგრაფია მწერალ როსტომ ჩხეიძის ავტორობით, მკითხველს მიეცა საშუალება გასცნობოდა გარდასულ დღეთა „ლაბირინთებში“ ჩაგვირისტებულ იდუმალ ამბებს რომელიც ისტორიის საინტერესო წახნაგებია და მხოლოდ დაკვირვებული და დაინტერესებული ადამიანის წყალობით შესაძლებელია გახდეს მკითხველის ინტერესის საგანი. მით უფრო საინტერესოა მათი გაცნობა, როცა გამოცდილი მოკალმე ჰკიდებს ამ საქმეს ხელს.

სურვილი იმისა, რომ გაცოცხლდეს წარსული, პატივი მიეგოს წინაპრების ნიჭს, ღვაწლსა და თავდადებას, მეტად საშური საქმეა. აკი, ნათქვამია **„ჩვენ ძლიერები იმიტომ ვართ, რომ წინაპრების მხრებზე ვდგავართო“**.

აქედან გამომდინარე, როსტომ ჩხეიძის მიერ გამოქვეყნებული ყველა ესე თუ მონოგრაფია იქცევს ყურადღებას. მათ შორის მინდა გამოვყო **“ცოტნე დადიანისა და შოთა რუსთაველის დანათესავება”** – პოეტური აზრის მწვერვალზე.

მკითხველი დამემოწმება, უკვდავი შოთა რუსთველის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დამოკიდებული ყოველი მსჯელობა სათუთია და ძალიან მგრძნობიარე. რუსთაველი გახლავთ ერის შემოქმედებითი ნიჭიერების მწვერვალი. ცოტნე დადიანი კი გმირობისა და თავდადების გამოკვეთილი ვარსკლავი.

ამ ორი – ქართული მარგალიტის, ორი ფენომენის, გონიერებისა და გმირობის სინთეზის ფონზე დანათესავების მარცვლის ძებნა, მართლაც საშური საქმეა. ისინი XII-XIII საუკუნეების ბრწყინვალე წარმომადგენლები, ქართული გენის მარადი ძღვენნი არიან.

დიახ, წასაკითხი მასალა არის წარსულის ფესვებში ღრმა განტოტვა, რომელთაც ჩაკირკიტება სჭირდება, შემდეგ მართებული და დროს შესაბამისად ლოგიკური ანალიზი და მტკიცებულებათა მოხმობით, ავტორის აზრის დასკვნის მართებულობაში კომპეტენტური მკითხველის დარწმუნება. ამ შემთხვევაში, როსტომ ჩხეიძე ეყრდნობა დიდი მეცნიერის, აკადემიკოს პავლე ინგოროყვას მიერ ათეული წლების წინ გამოთქმულ მოსაზრებას. და ძიებათა ხვანჯებში თამამად ებმება.

სულმნათი, საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ამბროსი ხელაია ბრძანებს **“ხალხს აქვს მოთხოვნილება ეძებოს იდეალები თავისი წინაპრების ცხოვრებაში ”**-ო.

როსტომ ჩხეიძე, გვამცნობს, რომ **“რუსთაველიანის ეპილოგის”** მეორე ნაწილს სამი ნარკვევი რომ შეადგენს, მათგან პირველი ასეა დასათაურებული: **“ძეგლი შოთა რუსთაველის ოჯახიდან. შოთას ახლობელნი. პოეტი ქალი ბორენა”**.

მონოგრაფიის ავტორს სრულიად მართებულად და საოცარი მწერლური ტაქტით მოაქვს ჩვენამდე მეცნიერის მიგნება, და არა მხოლოდ მისი – სამეგრელოში, კერძოდ ხობის მონასტერში 20-ე საუკუნემდე დაცული იყო უძველესი ხატი გიორგი მთაწმინდელისა, რომელსაც ზურგის მხარეს აქვს წარწერა შოთა რუსთაველის ძმის, ტბელი გრიგოლის ძისა, რომელიც იყო მონაპირე სპასპეტი (მხედართმთავარი) ჰერეთის საერისთაოსი თამარ მეფის დროს.

როგორ, რას საშუალებით უნდა მოხვედრილიყო ეს ხატი სამეგრელოში? უფრო სწორად ცოტნე დადიანის მამის შერგილის ოჯახში? პავლე ინგოროყვას იდეას, მის წარმოსახვას სავსებით იზიარებს როსტომ ჩხეიძე, შეუძლებელია ეს არც გაიზიარო. აქ აღძრულია სურვილი მძინარე ისტორიის საკვირველებას მტვერი გადავაცილოთ და წარმოვაჩინოთ მისი იდუმალი მშვენიერება.

ხომ ცხადია **“ფეოდალურ გვარებში დადგენილი წესის თანახმად, ქალისთვის გათხოვების დროს, აუცილებლად უნდა გაეტანებინათ ხატი, რომელიც მით უფრო ძვირფასი უნდა ყოფილიყო, რაც უფრო დიდი გახლდათ საგვარეულო და ისე ჩანდა, რომ დადიანთა ოჯახში რძლად მოეყვანათ ქალი ჰერეთის ბაგრატიონთა ოჯახიდან და მას მოეტანა აქ ეს ხატი”**.

ხატი არა მხოლოდ სალოცავია, ის გადმოცემს არამიწიერ ბგერებს და გვიხმობს სასწაულის სასმენად.

ვინ იყო ეს დიდებული ქალბატონი, ჰერეთიდან, ბაგრატიონთა გვარისა? თანმიმდევრული კვლევის შედეგად პავლე ინგოროყვამ გამოთქვა მოსაზრება, რომ შოთა და მისი ძმა ტბელი: 30-35 წლით უნდა ყოფილიყვნენ უფროსი ცოტნე დადიანზე. სამეგრელოში გამოთხოვდა ტბელის ქალიშვილი, ანუ შოთას ძმისწული ბორენა, რომელიც უნდა ყოფილიყო მეუღლე ცოტნე დადიანისა.

მკვლევარს აშკარად უჭერს მხარს როსტომ ჩხეიძე და მოსაზრებათა შეხიდებით გვამცნობს, რომ ბორენას სახელი შემთხვევით არ ამოტივტივებულა. უსაფუძვლო და უნიადაგო არ გახლავთ ეს მიგნება. სვანეთში, კერძოდ სოფ. ლენჯერში დაცული იამბიკო ხუთეულის ავტორია და არა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს (ბაგრატ მეოთხის მეუღლისა) რადგან ლექსთა წყობა და აზრობრივი ქარგა სავსებით ბუნებრივად ერწყმის შოთას რითმსა და სულიერ მრწამს.

ამ მოსაზრებას იზიარებს და მწერლური გულმხურვალებით აცხადებს, რომ **“ამ ორი პიროვნების ნათესაობა კიდევ უფრო დიდი იყო, ვიდრე ოჯახური ხორციელი დანათესავება”**. ეს გახლავთ სურვილი ბედნიერების სასწაულის ხილვისა, დაულეველი გონიერების ძალმოსილებისა.

რ, ჩხეიძე არ ისაკუთრებს ხსენებულ იდეას. იგი მწერლური სამართლიანობით თავს უყრის ამ ვარაუდის ირგვლივ გამოთქმულ მოსაზრებებს და მკითხველს სავსებით ღიად და დამაჯერებლად ამცნობს სანდრო ხახანაშვილის, კორნელი კეკელიძის, არჩილ ჯორჯაძის და სხვათა მოსაზრებებს და დასძენს, რომ **“ასე უნდა გაგვეცნო შოთა რუსთაველის ახლობელნიც, წევრნი დიდად განათლებული, დიდი არტისტული ტრადიციების ოჯახისა: ტბელი, როგორც ავტორი ბრწყინვალე წარწერისა გიორგი მთავარ მოწამის ხატზე, და ბორენა, შთაგონებული შოთას პოეზიით”**.

ეს გახლავთ ნაკრძალი სულის კიაფი. იდეა, რომელიც გაისაკუთრა რ. ჩხეიძემ. ყოველი იდეა ხომ სულის წიაღიდან მოსჩქეფს.? ეს გახლავთ როსტომს ჩხეიძის აზრთა მშვენიერება და სულის სიმაღლე, დახვეწილი გემოვნების უზადო გამოსხივება, სევდის თუ ტკივილის, სიყვარულისა თუ სიძულვილის გამოხატვის ძალა.

რათა მკითხველს არ გაუჩნდეს ეჭვი და დარწმუნდეს, რომ ბაგრატიონთა და დადიანთა სიახლოვე სავსებით შესაძლებელია, მოვახსენებ, რომ ხობის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა სავანეში, გარდა დასახელებული წმინდა გიორგი მთავარმოწამის ხატისა, რომელიც შოთა რუსთაველის ოჯახიდანაა, (ეს უდაო და მკვლევართა მიერ ერთხმად დადასტურებულია) დაბრძანებული იყო ათობით ძვირფასი განძი: მათ შორის წმ. თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, თამარ მეფის დედის, ბორდოხან დედოფლის მრავალნაწილიანი ვერცხლის ხატი, დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ხატი და, ასევე, ექვსი წმინდა დიდმოწამის ნაწილები. არ ჩამოვთვლი სხვა ხატებს ბერძნული და ქართული წარწერებით.

ისმის ერთი ჭეშმარიტად ლოგიკური შეკითხვა. როგორ მოხვდა ბაგრატიონთა გვარის უდიდესი წარმომადგენელთა ჯვრები და ხატები სამეგრელოს ერთ სავანეში, სადაც ცხოვრობდნენ ცოტნე და მისი მამა-პაპანი, თუ არ იყო ძლიერი და საფუძვლიანი კავშირი გვართა შორის?

და ეს კავშირი სავსებით შესაძლებელია ცოტნე დადიანის ოჯახსა და ბაგრატიონთა საგვარეულოს შორის ქორწინების მეშვეობით გამყარებულიყო. შემთხვევით არც წვიმს და არც ქარი ქრის, არც ელავს და არც მიწისძვრა ხდება.

სამეგრელოს მთავრები, ვარდენ მეორე და შერგილ დადიანები მეტნაკლებად ცნობილია საზოგადოებისათვის. ვარდენი, მეფე გიორგი მესამისა და თამარ მეფის კარზე გავლენიანი თავადი გახლდათ.

ცნობილმა ისტორიკოსმა პ. ინგოროყვამ, თავის დროზე დასვა საკითხი შოთა რუსთაველისა და ცოტნე დადიანის ოჯახების დამოყვრების შესახებ. როსტომ ჩხეიძე წლების გასვლის შემდეგ უბრუნდება ამ ძალიან დელიკატურ თემას და აკეთებს აქცენტს, რომ ამ ვარაუდს არ დაედოს დუმილის სევდისმომგვრელი ღრუბელი. ამიტომ გააააქტიურა, უბიძგა, ააგორა, თანამედროვე მკვლევართა და მომავალი თაობების საყურადღებოდ.

მწერალი, როცა წარსულს უბრუნდება, ის სამშობლოზე, მამულზე, სულიერ ფასეულობებზე, წინაპართა მარად უკვდავ სულზე, ჩვენი დირსეული წინაპრების ნაკვალევზე, ფესვებზე ფიქრობს და იმზირება ცისკენ, სადაც ერის ისტორიის დიდება ინახება.

შოთა რუსთაველის წარმომავლობისა და ვეფხისტყაოსნის თემა მარადიული თემაა, ამოუწურავი. აზრთა ზღვა კი არა, ოკეანეა, უძირო და უნაპირო. ეს მავანთ არ ასვენებთ და ვინ არ წამოყო თავი.

იმ უამრავთაგან ორს მოვიტან განსჯისთვის. 1922 წელს თბილისის გაზეთებში **“ლომისსა”** და **“ბახტრიონში”** გამოქვეყნდა ათენის ბერძნული გაზეთიდან ქართულად თარგმნილი მასალა შოთა რუსთაველსა და **“ვეფხისტყაოსანზე”,** რომელიც შედგენილი იყო ბერძენ ლიტერატორი ვინმე ტრიკოლგიდის მიერ. თითქოს კაიროს ბიბლიოთეკაში დაცულ იყო გვერდებშემოცლილი წიგნი და იქ ნახა ვეფხისტყაოსნის მსგავსი ნაწარმოები.

ასევე, მარსელში 1942 წელს გამოცემულ ფრ. ტუსენის მიერ შედგენილ “სიყვარულისა და ომის ისლამური სიმღერების” კრებულში, შესულია, თითქოს არაბულიდან თარგმნილი ქართული მგოსნის რუსტუილ-რუსთაველის, შავთალ-შავთელის, ზუმელ-ხომელ-ხონელის – პოეზია. ამგვარი შეთითხნილ და აგორებულ ჭორს უამრავი მომხრე გამოუჩნდა საზღვარგარეთ და სამწუხაროდ, საქართველოშიც, რომლებიც თარიღთა აღრევის, უზუსტობის, ურთიერთსაპირისპირო მონაცემთა, შეუსაბამო მოსაზრებათა და ანაქრონიზმების წყალობით, აბდაუბდა დაწერეს. ამგვარი უნიათო მცდელობები გამდნარი ტყვიასავით მოქმედებს, თუმცა ცრუმჯდაბნელებმა, მალევე მიიღეს საკადრისი პასუხი, მაგრამ თემა დახურული არ არის.

ამიტომ, როსტომ ჩხეიძის მიერ აქცენტირებული საკითხი, არ გახლავთ უბრალო ახირება და არც თემის ჰაიჰარად წამოწევის მცდელობა. ხომ ცხადია, შოთა რუსთაველისა და ცოტნე დადიანის ოჯახის დამოყვრების აღიარება, წერტილს დაუსვამდა ყოველგვარ ეჭვებს, ნათელს მოჰფენდა საჭოჭმანო გაუგებრობებს. მონოგრაფიის ავტორის აზროვნების ესთეტიკის მიზანი სწორედ ეს გახლავთ. ამას შეიძლება ვუწოდოთ შემტევი პოზიცია. როსტომ ჩხეიძეს საერთოდ ახასიათებს ტაქტიანი, არა ძალდატანებითი მიდგომა ნებისმიერი თემისადმი. ტაქტიანი მიდგომა მუდამ მომგებიანია. ამ შემთხვევაშიც ტაქტიანი **“ძალდატანებით”** გვირჩევს მწერალი, რომ პავლე ინგოროყვას ვარაუდი ყურადღების ღირსია და შემდგომ კვლევასა და გაღრმავებას იმსახურებს.

ახლა მრთოლვარე სულით გავცქერი წარსული ცხოვრების ანარეკლს, მითოსურ კოლხთა ღვთაებებს მოვიხმობ ღრუბელთა ქაოსიდან და წინაპართა მოგიზგიზე სული ერთ სუნთქვად შეკრულა თითქოს ჩემში.

რა ვუყო, რომ ბორენას სულის ხმები ხშირად მწვდება ყურში. მის თერთმეტ სტროფში ვგრძნობ მოწიფული, ნიჭიერი ქალის სახეს, ჭკვიან თვალებს, მახლობლად, ჩემებურად გავისაკუთრებ მას და ეჭვი არ მეპარება მისი და რუსთაველის ნათესაობაში.

როსტომ ჩხეიძე ასევე ეხმიანება ერთი მეტად საინტერესო და ფრიად საგულისხმო მოსაზრებას, რომელიც გვამცნობს, რომ **“როდესაც ცოტნე დადიანი სამშობლოსთვის თავგანწირული მივიდა მონგოლებთან და მხრებშეკრული დაჯდა მეგობრების გვერდით, აქ მას სამშობლოსათვის თავდადებულთა შორის, დახვდა მოხუცი შოთა.”**

საინტერესო კი არა, განსაცვიფრებელი მოსაზრებაა. არა მგონია ცეცხლს მიახლოვებული ფარვანას მსგავსად ეს თემაც განწირულია სიკვდილისათვის!..

ყოველ მოსაზრებს, დიახაც, აქვს, არსებობის უფლება.

ან რაა ამ მოსაზრებებში მიუღებელი? სწორედ ამ მიგნებამ აღაფრთოვანა თავის დროზე არა ერთი მკვლევარი და გამოთქვეს მოსაზრებები. ვგონებ, მსჯელობაში იბადება ჭეშმარიტება. ისტორია, შორეული წარსული უშვებს შესაძლებლობას შევკრათ ისტორიის გაწყვეტილი ძაფი და მუდმივად ვეძებოთ მისი გაგრძელება!

ბორის დავითაია,
მწერალი, აკაკი, წერეთლის პრემიის ლაურეატი

ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠᲘᲡ ᲢᲔᲠᲐᲥᲢᲘ

მანჩესტერში განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტმა დიდი გნიასი გამოიწვია დიდ ბრიტანეთში, აშშ-ი, ევროპასა და მსოფლიოს ქვეყნებში. გაკეთდა შესაბამისი მკაცრი განცხადებები ინგლისის პრემიერ-მინისტრის ტერეზა მეის, აშშ-ს პრეზიდენტის დონალდ ტრამპის, საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის, გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის, ევროკავშირის ერთ-ერთი ბობოლა ხელმძღვანელის დონალდ ტუსკის, ჩინეთის თავმჯდომარის სი ძინპინის, სხვების და სხვების მხრიდან. სამძიმარი გამოაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა და ინგლისის პრემიერს დახმარებაც აღუთქვა ტერორიზმთან ბრძოლაში, ცხადია თუკი მეის თანამშრომლობის სურვილი გაუჩნდება.

ტელეკომპანია BBC, რომელიც ფართოდ აშუქებდა მანჩესტერის ტერაქტს, მთელი დღის განმავლობაში, ასახელებდა იმ ქვეყნების მეთაურების გვარებს, რომლებმაც დაგმეს ტერაქტი და სამძიმარი გამოხატეს ინგლისელთა მიმართ იმ თანმიმდევრობით, როგორიც ზემოთ დავაფიქსირე.

ტერეზა მეის ერთ-ერთმა პირველმა ვინც მიუსამძიმრა ვლადიმირ პუტინი იყო, მაგრამ რატომღაც ის ამ ჩამონათვალში არ მოხვდა. რას ნიშნავს ეს? არის თუ არა პოლიტიზირებული ისეთი პროცედურაც კი, რასაც მისამძიმრება ჰქვია?

ვგონებ კითხვაც უადგილოა, ვინაიდან ტენდენციურ დასავლურ პოლიტიკაში მისამძიმრებაც კი მკაცრ პროტოკოლურ შემოწმებას ექვემდებარება და რომ ეს ასეა, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ტელეკომპანია BBC-ის მიერ გაშუქებულმა ტერორისტული აქტის პერიპეტიებმა.

მკითხველმა (არა ყველამ) შეიძლება თქვას – მერე რა მოხდა, ხომ შეიძლება რუსეთის პრეზიდენტის მოხსენიება გამორჩენოდა ტელეკომპანიასო? თუ სხვა შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რუსეთის გაშავებას ცდილობს, პუტინის გვარი არ ავიწყდებათ?

ნუ იფიქრებთ – პუტინის და რუსეთის დამცველი ვარ, მათ ჩემი დაცვა არ სჭირდებათ, უბრალოდ ობიექტურობა მალა-პარაკებს და, აქედან გამომდინარე, მსოფლიო პოლიტიკური ვითარება. ვერ იქნება მსოფლიო ტერორიზმისგან დაცული მსგავსი „ობიექტური“ პოზიციის დროს. არადა, ერთად აღებული დასავლური პოლიტიკა ხომ ისეთ „ობიექტურობაზეა“ დაფუძნებული, ობიექტურობასთან არაფერი რომ არ აკავშირებს?!

ერთად უნდა ვებრძოლოთ ტერორიზმსო! – იყო მკაცრი და შეუვალი განცხადებები კოლექტიური დასავლეთის მხრიდან, თან ისეთი, რომ კაცს აფიქრებინებდა – დღეს თუ არა ხვალ შეიქმნება მსოფლიო ქვეყნების კოალიცია და ტერორიზმს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოეცხადება.

მანჩესტერის ტერორისტული აქტიდან საკმაო დრო გავიდა, მაგრამ არსად ჩანს „კოალიცია“ ან თუნდაც ერთად ბრძოლის პრაქტიკული შედეგები. რა კოალიციაზეა ლაპარაკი ან ერთად ბრძოლაზე, როდესაც რახანია არსებობს კოალიციაც 60-ზე მეტი ქვეყნის მონაწილეობით და „ბრძოლაც“ - დაუნდობელი, ანტიტერორისტული. ოღონდ ერთია ამ კოალიციის და მისი მეთაურის აშშ-ს ქმედება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით, უფრო ჭიქაში აბობოქრებულ ქარიშხალს წააგავს. ვერ ტოვებს აშშ-ს მეთაურობით შექმნილი კოალიცია ისეთ შთაბეჭდილებას, ტერორიზმს რომ გულს უხეთქავდეს. ანდა, როგორ შეაშინებ ტერორისტს, რომელიც შეგნებულად მიდის სიკვდილზე, თან უამრავ მსხვერპლს იყოლიებს?

კოლექტიური დასავლეთი, რატომღაც „თავის“ ანტიტერორისტულ ბრძოლას ნამდვილ ბრძოლად მიიჩნევს, ხოლო სხვისას, მაგალითად რუსეთის, ირანის, სირიის, არაფრად აგდებს. ამ ორი კოალიციიდან, მეორე გაცილებით ეფექტიანად ეომება ტერორიზმს, ვიდრე პირველი და ამ ომს აქვს პრაქტიკული შედეგებიც – ტერორისტებისგან განთავისუფლებული სირიის ქალაქების სახით – ალეპო, პალმირა, ჰომსი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. მაშინ, როდესაც ამერიკულმა კოალიციამ კარგა ხანია ვერაფერი მოუხერხა ერაყის ქალაქ მოსულში გამაგრებულ ტერორისტებს.

ტერორიზმთან ბრძოლას ართულებს პოლიტიკური ორპირობაც, რასაც სისტემატურად აქვს ადგილი ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით სირიაში. როდესაც აშშ-ი დაბომბავს შეტევაზე გადასულ სირიის სამთავრობო ძალებს იმ მოტივით, რომ შეაფერხოს მისი სვლა ე.წ. ანტიასადური ძალების წინააღმდეგ – თავისიანებად რომ მიიჩნევენ ამერიკელები, ხოლო სინამდვილეში ტერორისტები არიან, ტერორიზმის საქმე მუდამ წარმატებული იქნება.

ორ წელზე მეტია რუსეთი თხოვს აშშ-ს წარუდგინოს სია სირიის პროვინციებში მებრძოლი „კეთილი“ და „ბოროტი“ ტერორისტების ანუ იმათი, ვისაც აშშ-ი თავისიანებად მიიჩნევს, მაგრამ პასუხი არ ჩანს. ვერც მჭიდრო კოორდინაციას ვხედავთ რუსეთ-ამერიკის სამხედროებს შორის, არადა ამის გარეშე წარმატებულ დასასრულზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ის, რაც სირია-ერაყში ხდება ძნელად შეიძლება ჩაითვალოს ტერორიზმთან ბრძოლად. ეს უფრო პოლიტიკური ბრძოლაა, გავლენის გაფართოებისკენ მიმართული და არა ტერორიზმის წინააღმდეგ. პირიქით – სწორედაც ტერორიზმია გამოყენებული გავლენის გაფართოების მიზნით.

ამერიკის დღევანდელი პრეზიდენტი ტრამპი პირდაპირ, საჯაროდ აცხადებს, რომ წინამორბედმა ობამამ შექმნა ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“, რომლის ჩამოყალიბებას, ცხადია, ხელი შეუწყო ობამას წინამორბედის ბუშის შეტევამ ტერორიზმზე ერაყსა და ავღანეთში. ამ უკანასკნელში აშშ-ი 16 წელია იბრძვის. ერაყში შეჭრამ წაახალისა სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციები, გააააქტიურა ავღანეთში მოქმედი „ალ-ქაიდა“, გააფართოვა მისი ბრძოლის არეალი.

რაც შეეხება თვით ავღანეთს – ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდას“ აკვანს, უმძიმესი ვითარებაა. დღე ისე არ ჩაივლის, რომელიმე პროვინციაში ადგილი არ ჰქონდეს ტერორისტულ აქტს, გაცილებით უფრო სისხლიანს, ვიდრე მანჩესტერის ან ნებისმიერი ევროპული ქალაქის, ერთად აღებულს. ასი და ასზე მეტი ადამიანის მსხვერპლი – ჩვეულებრივი რამ არის, რასაც არ ახლავს ისეთი გამოძახილი, როგორიც მანჩესტერისას ან ნებისმიერი სხვა ევროპული ქვეყნისას.

ტერაქტებში დაღუპული სირიელები, ერაყელები, ავღანელები, სხვები ისეთ აღშფოთებას, გამოძახილს არ იწვევს ევროპელებსა და ამერიკელებში, როგორც ევროპის ქვეყნებში. განა ისინი ადამიანები არ არიან?

და როდესაც ესოდენ განსხვავებული მიდგომაა ევროპელ და ავღანელ, ერაყელ, სირიელ მსხვერპლს შორის, ძნელია ილაპარაკო ტერორიზმის წინააღმდეგ გაერთიანებულ ბრძოლაზე. რა გამოდის – აშშ-ი ყველა პრეზიდენტი ქმნიდა ტერორისტულ ორგანიზაციას?

ზემომოყვანილი მაგალითები სწორედ ამაზე მიუთითებს ისე, როგორც „ალ-ქაიდას“ შექმნა ავღანეთში. ბინ ლადენი და „ალ-ქაიდა“ ხომ ამერიკის ადმინისტრაციისა და სპეცსამსახურების მუყაითი შრომის ნაყოფია?

აღნიშნულის თაობაზე არაერთი ნაშრომი და წიგნია გამოცემული თვით აშშ-ი.

რისთვის შეიქმნა „ალ-ქაიდა“?

ავღანეთში არსებული საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ. დღეს, აღარც საბჭოთა კავშირია, მითუმეტეს აღარც საბჭოთა ჯარია ავღანეთში, აღარც მსოფლიო პირველი ტერორისტი ბინ ლადენია ცოცხალი, მაგრამ არის „ალ-ქაიდა“, მძლავრი ტერორისტული ორგანიზაცია მთელს მსოფლიოს მოდებული. „ალ-ქაიდას“ ფილიალი „ჯებხატ ან-ნუსრა“ იბრძვის სირიაში ისე, როგორც შედარებით ახალი ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“.

„ალ-ქაიდას“ არსებობა კარგად იყო ცნობილი შევარდნაძე-საკაშვილის ხელისუფლების ზოგიერთი წევრისთვის, რომლებიც ხელს უწყობდნენ ამ ორგანიზაციის ტერორისტებს საქართველოს გავლით ჩეჩნეთში გადასვლაში. მაშინ რუსეთის ხელისუფლება მიმართავდა ამერიკა-დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ წრეებს ინფორმაციის გაცემას „ბოევიკების“ საქართველოში გადაადგილებასთან დაკავშირებით, თუმცა უშედეგოდ, ვინაიდან ორივენი იყენებდნენ ტერორისტულ ორგანიზაციას პოლიტიკური მიზნებისთვის - ბრძოლა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ.

ჩეჩნეთის ომების დროს სულ სხვაგვარი განმარტება ეძლეოდა ტერორისტულ მოქმედებას – დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა. იჩქერიის პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი დიდი პატივით სარგებლობდა დასავლეთში. მას ხელგაშლილი ხვდებოდნენ თურქი, ამერიკელი, ინგლისელი მაღალი რანგის პოლიტიკოსები. იმუამინდელი ტერორისტი ახმედ ზაკაევი დღესაც ინგლისშია და არარსებული „იჩქერიის“ წარმომადგენელია. რამდენჯერ სთხოვა ინგლისის მთავრობას რუსეთის ხელისუფლებამ დამნაშავე ზაკაევის გადაცემის თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ.

ზემომოყვანილი ფაქტები ზღვაში წვეთია იმ უამრავ ჩამონათვალს შორის, ტერორიზმთან დასავლეთის მჭიდრო კავშირს რომ ასახავს. და როდესაც მსგავს ორპირობას აქვს ადგილი, ძნელია გაერთიანებული ანტიტერორისტული მოქმედება. ამ შემთხვევაში მხოლოდ ლაპარაკი და მოწოდებაა იოლი, პრაქტიკული ქმედება კი – რა მოგახსენოთ.

დასავლეთს აწყობს ტერორისტული ორგანიზაციები – საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ერთ-ერთი იყო და არის სირია და მისი ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ბაშარ ასადი. ექვსი წლის წინათ დაიწყო დასავლეთმა ბაშარ ასადის წინააღმდეგ შეტევა, ტერორისტების დახმარებით. ჯერ ქვეყნის შიგნით არსებულ ანტიასადურ ბოევიკებს აასხეს იარაღი, შემდეგ 100-ზე მეტი ქვეყნის ტერორისტი მიუსიეს მას, მაგრამ ასადმა გაძლო.

დღეს, მას მხარს უჭერს რუსეთი, ირანი და იორდანიაში არსებული ორგანიზაცია „ჰესბოლა“. ეს კოალიცია საკმაოდ წარმატებით მოქმედებს, რაც დიდ გაღიზიანებას იწვევს აშშ-ი. იქ, სადაც რუსეთი არ იყო ჩართული, დასავლეთმა, ადგილობრივი ტერორისტების გამოყენებით, ბოლო მოუღო იქაურ ხელისუფლებას. მხედველობაში მაქვს ლიბია, ერაყი. ორივე ქვეყნის მმართველი წამებით მოკლეს. ორივე ქვეყანა გააუბედურეს, მიწასთან გაასწორეს, ნოყიერი ნიადაგი შეუქმნეს ქვეყანაში მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაციებს. ამ ქვეყნების დაქუცმაცების საფრთხე შექმნეს. არადა კადაფის ლიბია აფრიკის ყველაზე წარმატებული სახელმწიფო იყო, ხოლო ერაყი – ახლო აღმოსავლეთის.

ტერორიზმის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენების საქმეში აშშ-ს გვერდში უდგანან მდიდარი საუდის არაბეთი, ყატარი, სპარსეთის ყურის საამიროები. სწორედ მათი მეშვეობით ხდება სირიაში, ერაყში, სხვაგან მებრძოლი ტერორისტების იარაღით მომარაგება, დაფინანსება, ინფორმაციის მიცემა და სხვა. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ომის წარმოება. ისე, კაცმა რომ თქვას, ნაცვლად ზეპირი მოწოდებისა, დასავლეთმა რომ თუნდაც ერთი დღე ტყვია-წამალი არ მიაწოდოს „ისლამურ სახელმწიფოს“, სხვა ტერორისტულ ორგანიზაციებს, რით იომებდნენ ისინი?

საუდის არაბეთში ვიზიტად მყოფმა ტრამპმა ხელშეკრულებას მოაწერა ხელი – ამ ქვეყნისთვის იარაღის მიწოდების შესახებ. თანხა მეტად სოლიდურია - 280 მილიარდი დოლარი. რაში სჭირდება ისედაც კბილებამდე შეიარაღებულ საუდის არაბეთს დამატებითი შეიარაღება? მიწოდებული იარაღიდან რა რაოდენობა წავა ტერორისტებისკენ?

აი, ის შეკითხვები, რომლებიც უნებლიედ ჩნდება.

ტრამპი ხარობს – 280 მილიარდი პატარა საქმე არ არის. ის, ამერიკის სამხედრო კომპლექსსაც წაადგება და ტრამპის იმიჯსაც, მაგრამ ტერორიზმთან ბრძოლას?

ტერორიზმთან ბრძოლას მაშინ ექნება ეფექტი, როდესაც ყველა ერთად დაიწყებს ამას, არ გამოიყენებს მას საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის; არ გააკეთებს ისეთ განცხადებას, როგორიც გააკეთა ტრამპმა საუდის არაბეთში, როდესაც ტერორისტად მოიხსენია ირანი, ქვეყანა, რომელიც არა სიტყვით, არამედ საქმით იბრძვის ტერორიზმის წინააღმდეგ.

ტრამპმა ლამის აშშ-ს ნომერ პირველ მტრად ირანი დაასახელა, რაც უდავოდ პოლიტიკური მიზნების გამომხატველია და არა ობიექტურობიდან გამომდინარე ნათქვამი.

ირანი ის ქვეყანაა, რომელიც რუსეთთან ერთად ეხმარება სირიას, ებრძვის რა ტერორისტულ ორგანიზაციებს. ამით იზრდება ირანისადმი სირიის ხელისუფლების პოლიტიკური განწყობა.

ერაყის ხელისუფლებაც თანამშრომლობს ირანთან, რაც გულზე არ ეხატება აშშ-ს. მისი სურვილი მარტივია – რუსეთის, ირანის პოზიციების დაკნინება ახლო აღმოსავლეთში და ამ საქმეში ტერორიზმის ჩართვა. ასეთ ვითარებაში „საერთო“ ძალებით ტერორიზმის დამარცხება უტოპიაა.

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲯᲘᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
პოლიტოლოგი

ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲔᲑᲘᲡ ᲑᲣᲛᲘ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲖᲘ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მუზეუმების მართვის ცენტრის დირექტორის კონსტანტინე გურგულიანის ინიციატივითა და ძალისხმევით, ზუგდიდში ამ რამდენიმე ხნის წინ დაარსდა სამი მუზეუმი: საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას, სპორტისა და მედიის მუზეუმები.

საქართველოში ერთადერთი – ზვიად გამსახურდიას მუზეუმის დირექტორის ქალბატონ დალი ლატარიას განცხადებით, დიდი დრო არ არის გასული, რაც ეს მუზეუმი გაიხსნა და უკვე მრავალი ადამიანი მოდის მის დასათვალიერებლად. **“ზუგდიდიში იმყოფებოდა ჩეჩნეთის მკვიდრი ჯოხარ დუდაევის ახლო ნათესავი უმარ იდიგოვი – კავკასიის ხალხთა ინტეგრაციის ფონდის პრეზიდენტი და შეგვპირდა, რომ მოიძიებს გროზნოში ზვიადის ნაქონ ნივთებს და გადმოგვგზავნის. ერთვნული მოძრაობის ერთ-ერთმა აქტივისტმა კუკურია კაკუტიამ მუზეუმს გადასცა ზვიადის უნიკალური ნივთები, ფოტო-მასალები, ხელნაწერები. შემოწირულობები გრძელდება. მე ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა მუზეუმის ხელმძღვანელობა, როგორც ერთვნული გვარდიის ქალთა ყოფილი ბატალიონის „ნანას“ მეთაურს. მინდა ვისარგებლო თქვენი გაზეთით და თხოვნით მივმართო მხარის გუბერნატორს ჩემი თანამებრძოლების სახელით, ზუგდიდის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს ჯოხარ დუდაევის სახელი”** – აღნიშნა ქალბატონმა დალი ლატარიამ.

უნდა აღინიშნოს, რომ ასევე, საქართველოში პირველად, 2003 წელს, ზუგდიდში ცნობილი პოლიტოლოგის ალექსანდრე ჭაჭიას თაოსნობით დაიდგა ზვიად გამსახურდიას ბიუსტი.

სპორტის მუზეუმს ხელმძღვანელობს ვეტერანი სპორტსმენი, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი ფეხბურთში, ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი როლანდ მაქაცარია, რომელიც წლების განმავლობაში ენთუზიაზმით აგროვებდა სამუზეუმო ექსპონანტებს. **“ზუგდიდი ოდიდგანვე ცნობილი იყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში მიღწეული წარმატებებით. მეგრელი კაცის ბუნებამ გონების სიმკვირცხლემ, ტემპერამენტმა გასაქანი მისცა სპორტის ისეთ სახეობებს როგორიცაა: მძლეოსნობა, მკლავჭიდი, ჭადრაკი, ცხენოსნობა, ლელობურთი, ტყვიის სროლა, ფეხბურთი, ტანვარჯიში, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ღირსეულ სპორტსმენებზე, საამაყოდ ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის სახელიც ეყოფა. სპორტის მუზეუმის ექსპონანტების ფონდში 1137 ექსპონანტი ირიცხება”.** – განაცხადა როლანდ მაქაცარიამ.

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი მარინე დამენია, რომელიც ამჟამად მედიამუზეუმის წამყვანი სპეციალისტია მრავალი წელი ეწეოდა ექსპონატების მოკვლევა-შეგროვებას. **“ამჟამად მუზეუმში თავმოყრილია საქართველოში გამოცემული 430 სხვადასხვა დასახელების გაზეთი და 150 დასახელების ჟურნალი, აქედან ზუგდიდიში გამოცემული 98 გაზეთი და 24 ჟურნალი, პოლიგრაფიის ნიმუშები, კლიშე, რეტუში, ლინოტიპი, ფოტოარქივი, ვეტერან ჟურნალისტთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური მასალები. პირადი ნივთები. აღსანიშნავია რომ, ასეთი მუზეუმი ჯერჯერობით ერთადერთია საქართველოში”** – აღნიშნა მარინე დამენიამ.

ᲚᲐᲓᲝ ᲫᲘᲠᲘᲐ,
ზუგდიდი

ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

დანაშაული და სასჯელი

პოლიტიკური რეპრესია (ლათინურად repressio – ჩახშობა, დათრგუნვა) მკაცრი სასჯელია, რომელსაც სახელმწიფო ორგანოები იყენებენ არსებული წყობილების დასაცავად და შესანარჩუნებლად.

ვიკიპედია

ეს ტერმინი შეიძლება გამოითქვას სხვაგვარადაც – "პოლიტიკური წმენდა", "ლუსტრაცია"... სინონიმები თავსაყრელადაა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ ჟონგლირებს ამ ტერმინებით: ის ვინც ატარებს აქციას, თუ ის, ვის წინააღმდეგაცაა მიმართული ეს აქცია. ეჟოვი და კომპანია თავისებურად აფასებდნენ ტერორს, როგორც მას შედგომში დაერქვა "სტალინური". ეს გახლდათ ეიჰე-პოსტიშვების ძალაუფლების შენარჩუნების ინსტრუმენტი და "ავგიას თავლის" გაწმენდის სამუშაო, ბერიას შინსახკომი კი წარმოადგენდა ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის და უდანაშაულო ხალხის დაცვის ღონისძიებებს. ფორმალურად ერთნიც მართლები იყვნენ და მეორენიც. მაგრამ არსი იცვლება მაშინ, როცა წვრილმანებს ვუღრმავდებით. როგორ ამბობენ ინგლისელები? სატანა სწორედ წვრილმანებში იმალება.

"წვრილმანი" კი ადამიანთა ბედი გახლდათ. გადავფურცლოთ ლავრენტი პავლეს ძის დღიური.

"თუ გამოვრიცხავთ ნიკოლოზ ეჟოვს, მაშინ მთავარი იქნება გავერკვეთ საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჩატარებული რეპრესიების შედეგებში. ეს გახლავთ მეორე მთავარი მიმართულება. ჩვენთანაც კი (საქართველოში), ჩემი კონტროლის ქვეშაც კი ვერ ავცდით გადახრებს. მენშევიკმა ნაძირალებმა შეიფარეს ფარული ტროცკისტები. ვიდრე ისინი არ ვამხილეთ, უამრავი უდანაშაულო ადამიანი ავიდა ეშაფოტზე. ჩვენთან ეს გადახრები შედარებით ნაკლები იყო, სხვა რესპუბლიკებში კი... ყველაფერი დასაზუსტებელია..."

ლავრენტი პავლეს ძემ იჩქარა აქცენტების დალაგებაში. სსრკ შინსახკომის რეპრესიული მოღვაწეობა აღმოჩნდა პირველი მთავარი მიმართულება კომისრის რანგში მის საქმიანობაში, რომლის დასაწყისი გახლდათ ეჟოვისა და კომპანიის "შეცდომები".

5 აგვისტოს ბერიამ დღიურში ჩაწერა: *"ამ ორი წლის განმავლობაში (1936-1938 წლები) ბევრი სისხლი დაიღვარა ქვეყანაში. ამ სამწუხარო ციფრებს ვერსად დაემალები. მეხუთე კოლონა ჩვენ არ გვჭირდება, იგი კი იყო და როგორც არ უნდა ამტკიცო საწინააღმდეგო, ფაქტებს ვერსად გაექცევი. ადგილებზე საჭიროზე მეტი დაპატიმრებები და დახვრეტები იყო.*

ამ საქმეში გარკვევაა საჭირო. საქართველოში ჩვენ ვაპატიმრებდით იმ პირებს, რომლებიც აღრიცხვაზე იყვნენ აყვანილები და მათ გარდა იმათაც, ვისი ავკაცობა გამოძიებამ გამოააშკარავა. მაგრამ ვაპატიმრებდით ყველაზე აქტიურებს... ამ საქმეშიც ზომიერება იყო საჭირო. მაგრამ როგორ დაიცავ ამ ზომიერებას? წმინდა წყლის ბანდიტებს ჩვენ ვანადგურებდით. აქტიურ ტროცკისტებსა და მენშევიკებსაც ვანადგურებდით. გადაგვარებულებსაც. მაგრამ რამდენმა შესძლო დამალვა? სულ ერთია – ეჟოვი მაინც უზომოდ ბერავდა ციფრებს. შეიძლება იგია დამნაშავე, ან საკავშირო და რესპუბლიკური აპარატები. შეიძლება ორივეა დამნაშავე".

როგორი ციფრები მიაჩნდა ბერიას "გაბერილად"? შინსახკომის სრულიად საიდუმლო შეტყობინების თანახმად (№109173) ორწლიანი აქტიური რეპრესიების შედეგად საბჭოთა კავშირში პირველი და მეორე კატეგორიის სამხედრო კოლეგიისა და სამხედრო ტრიბუნალის მიერ გასამართლდა და სიკვდილი და პატიმრობა მიესაჯა 18 ათას ადამიანს. ეს მხოლოდ ტრიბუნალების მიერ. მაგრამ არ დასჯილა 350 ათასი პარტიული და საბჭოთა მუშაკი, როგორც ამას ამტკიცებდნენ ხრუშჩოვი და მისი მიმდევრები.

აი, კიდევ ერთი სტატისტიკური ანალიზი.

1954 წლის თებერვალში **(როცა საძირკველი ეყრებოდა სკკპ XX ყრილობის ფალსიფიცირებას!)** ნ.ს. ხრუშჩოვის სახელზე მომზადდა ცნობა, რომელსაც ხელს აწერდნენ სსრკ გენერალური პროკურორი რ. რუდენკო, სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრი ს. კრუგლოვი და სსრკ იუსტიციის მინისტრი კ. გორშენინი. ცნობაში ასახული იყო 1921 წლიდან 1954 წლის 1 თებერვლამდე კონტრევოლუციური მოღვაწეობისათვის გასამართლებულთა რიცხვი. ამ ცნობის თანახმად, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მთავარი პოლიტსამმართველოს კოლეგიის, შინსახკომის "სამეულების", განსაკუთრებული სათათბიროს, სამხედრო კოლეგიის, სასამართლოების და სამხედრო ტრიბუნალების მიერ გასამართლდა 3.777.380 ადამიანი. მათ შორის სიკვდილი მიესაჯა 642.980 ადამიანს, ხანგრძლივი ვადით (25 წლამდე) პატიმრობა მიესაჯა 2.369.220 ადამიანს, გადასახლდა 765.180 ადამიანი.

ყურადღება მიაქციეთ, რომ აქ მოყვანილია 32 წლის სტატისტიკა. ეს კი იყო სამოქალაქო ომის და შემდგომი ურთულესი პერიოდი. მასში ასევე შედიოდა ჰიტლერელებთან ომის ოთხი უმძიმესი წელიწადი, ასევე ომისშემდგომი უმძიმესი პერიოდი. ამაში შედიოდა ბრძოლა ურიცხვ ბანდერელთა რაზმებსა და ეგრეთწოდებულ "ტყის სამოებთან". ამ რეპრესიების შემოქმედთა შორის, იაგოდასა და ეჟოვის გარდა არიან სხვა სისხლიანი ჯალათები, მოღალატეები და ვლასოველები. ამათ რიცხვში შედიან, ასევე, დეზერტირები, მოროდიორები, პანიკიორები და ის უღირსი ადამიანები, რომელთაც თავად დაიზიანეს საკუთარი თავი. დანაშაულებრივი სამყაროს იატაკქვეშეთის წარმომადგენლები, ნაციისტთა ხელშემწყობები, მათ შორის ის "ლენინური გვარდიაც", რომელმაც ქვეყანა დანგრევის საშიშროების წინაშე დააყენა. მათ შორის არიან ზინოვიევი და კამენევი, ტრიცკისტები, კომინტერნის "მოღვაწეები", ჯალათი ბელა კუნი, რომელმაც ათასობით ოფიცერი და ჯარისკაცი ჩაახრჩო ყირიმის წყლებში. ამრიგად, ფაქტია, რომ, 32 წლის მსხვერპლი შედგება სხვადასხვა სოციალური და საზოგადოებრივი ჯგუფებისაგან.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გალინა მიხეილის ძე ივანოვამ საინტერესო აღმოჩენა გააკეთა იმ პერიოდის ფენომენთან დაკავშირებით. ომამდე და ომის შემდეგაც, პროფესიონალ დამნაშავეებს, საკუთარი კანონების მიხედვით, არსად არ უნდა ემუშავათ. არც მუშაობდნენ. მაგრამ ბანაკებში ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ ჩადიოდა გამსვლელი სასამართლო და განიხილავდნენ პატიმართა მიერ შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევებს. მათ, ვინც უარს ამბობდა მუშაობაზე, ასამართლებდნენ საბოტაჟის ბრალდებით. საბოტაჟი კი იგივე სისხლის სამართლის 58-ე მუხლი გახლდათ. ამიტომ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ 58-ე მუხლით ასამართლებდნენ არა მხოლოდ "სტალინის ჯგუფის" პოლიტიკურ მტრებს, არამედ მათთან გათანაბრებულ სისხლის სამართლის დამნაშავეებსაც. რა თქმა უნდა, ამ მუხლით მიდიოდნენ საპატიმროებში ჯაშუშები, დივერსანტები, რომლებიც საკმაოზე მეტნი იყვნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1937 წელს ჩატარდა პროცესი, რომელზეც გასამართლდნენ სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარიატში მომხდარი შეთქმულების მონაწილენი.

მკვლევარმა ო.ფ. სუვენიროვმა გამოუშვა წიგნი, რომელშიც მოყვანილია მონაცემები (უკანასკნელ პიროვნებამდე) იმ სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ, რომლებიც დაპატიმრეს 1935-1939 წლებში: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, სამხედრო წოდება, თანამდებობა, როდის დააპატიმრეს, როგორი განაჩენი გამოუტანეს და სხვა. საკმაოდ სქელტანიანი წიგნია. აღმოჩნდა, რომ სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარიატის სისტემაში დაპატიმრებული ადამიანები არიან სამხედრო კომისრები, სამხედრო ინტენდანტები, სამხედრო ექიმები, სამხედრო ინჟინრები. ასე რომ, სრული ლეგენდაა იმის მტკიცება, რომ იმ პერიოდში განადგურდა შინსახკომის მთელი ხელმძღვანელობა.

ლეგენდაა ისიც, რომ 1937 წლიდან 1939 წლის სექტემბრამდე რეპრესირებული იქნა სსრკ წითელი არამიის 40.000 თანამშრომელი. სწორედ ეს ციფრი დაიმოწმა ჟურნალმა "ოგონიოკი" (№26, 1986 წელი), რომელიც შემდეგ გაიმეორეს გაზეთმა "მოსკოვსკიე ნოვოსტი" და სხვა გამოცემებმა.

მაინც, საიდან მოიტანეს **ეს ციფრი**?

საქმე იმაშია, რომ 1940 წლის 5 მაისს, სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარიატის კადრების მთავარი სამმართველოს უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ე. შადენკომ ი.ბ. სტალინს წარუდგინა "სამმართველოს 1939 წლის მუშაობის ანგარიში". მასში ნათქვამი იყო, რომ 1937-1939 წლებში წითელი არმიის რიგებიდან **განთავისუფლდა 36.898 მეთაური**. განსაკუთრებით ვუსვამ ხაზს – ბანთავისუფლდა.

მათ შორის 1937 წელს განთავისუფლდა 18.658 ადამიანი (მეთაურთა და პოლიტმუშაკთა სიობრივი შემადგენლობის 13,1 პროცენტი), 1938 წელს განთავისუფლდა 16.362 ადამიანი (9,2%), 1939 წელს კი განთავისუფლდა 1.878 ადამიანი (მეთაურთა შემადგენლობის 0,7 %).

მათი განთავისუფლების მოტივი გახლდათ: 1) ასაკი; 2) ჯანმრთელობის მდგომარეობა; 3) დისციპლინარული გადაცდომები; 4) მორალური არამდგრადობა; განთავისუფლდნენ პოლიტიკური მოტივითაც (მათ შორის 9.247 მოსამსახურე მათ მიერ შეტანილი საჩივრების შეტანის შემოწმებით გამართლდა და აღდგენილი იქნა საბჭოთა არმიის რიგებში); დაპატიმრებული და რეპრესირებული იქნა 9.579 ადამიანი მეთაურთა შემადგენლობიდან (მათ შორის 1457 ადამიანი გამართლდა და აღდგენილ იქნა 1938-1939 წლებში).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1937-1939 წლებში დაპატიმრებულ ოფიცერთა რაოდენობა (გარდა სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ფლოტისა), შეადგენდა 8.122 კაცს (მეთაურთა საერთო შემადგენლობის 3 პროცენტი, 1939 წლისათვის).

მათ შორის დახვრეტა მიესაჯა 70 ადამიანს, რომელთაგან დაიხვრიტა 17 – ძირითადად ესენი იყვნენ მაღალი რანგის ოფიცრები, მაგალითად, ხუთი საბჭოთა კავშირის მარშალთაგან ორი მათგანი (ტუხაჩევსკი, ტროცკისტული სამხედრო შეთქმულების ორგანიზებისათვის, ეგოროვი – შპიონაჟში მონაწილეობისათვის და ტერაქტების მოწყობის ორგანიზებისათვის) და კიდევ ერთი მარშალი ბლიუხერი დაპატიმრებული იქნა სამხედრო-ფაშისტურ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის, რამაც გამოიწვია უაზრო მსხვერპლი და სამხედრო ოპერაციის ჩავარდნა ჰასანის ტბასთან გამართულ ბრძოლებში (გარდაიცვალა ციხეში). ასევე, ანალოგიური, განსაკუთრებით საშიში დანაშაულისათვის დაიხვრიტა ცხრათაგან ხუთი I რანგის მეთაური (ბელოვი, იაკირი, უბორევიჩი, ფედკო, ფრინოვსკი) და "მეხუთე კოლონის" სხვა წარმომადგენლები.

და ბოლოს, ყველაზე სარწმუნი მხილებები გააუღერეს საბჭოთა კავშირის მტრებმა:

"...ვერმახტმა მე, უბრალოდ, გამყიდა, მე ვიღუპები ჩემივე გენერლების ხელით. სტალინმა გენიალური საქციელი ჩაიდინა, როცა საბჭოთა არმიის რიგებში მოაწყო წმენდა და თავიდან მოიშორა ძირგამომპალი არისტოკრატია" (ადოლფ ჰიტლერის ინტერვიუდან, რომელიც მან ჟურნალისტ კ. შპეიდელს მისცა 1945 წლის აპრილში).

მაშ ასე, თუ დახვრეტილთა საერთო რაოდენობას გავყოფთ დახვრეტილთა რიცხვზე, გამოდის, რომ წელიწადში დაიხვრიტა 22.000 ადამიანზე ნაკლები.

1939 წლის 6 თებერვალს ლავრენტი ბერიამ დღიურში ჩაწერა: "ნიკოლოზ ეჟოვმა დიდი უბედურება დაატეხა თავზე ქვეყანას. გამოდის, რომ სპეციალურად აბოროტებდნენ ხალხს იმის ილუზიის შექმნით, რომ ქვეყანას ბევრი მტერი ჰყავს, მაგრამ ჩანს, რომ ძალიან ბევრ ხალხს უსაფუძვლოდ აპატიმრებდნენ".

ეს გახლდათ სსრკ შინაგან საქმეთა ახალი სახალხო კომისრის ინტუიტიური მიგნება, თუ ეს იყო პროცესების შიდა ზამბარების უნაკლოდ ცოდნა? ალბათ, უფრო ცოდნა. ლავრენტი პავლეს ძე იმყოფებოდა 1934 წელს გამართული სკკპ (ბ) XVII ყრილობის დელეგატებს შორის, ასევე მონაწილეობდა 1937 წლის სკკპ ცეკას ივნისის პლენუმში და კარგად იყო გაცნობილი რეგიონალური ელიტის განწყობას, რომელიც ასახული იყო რ. ეიჰეს მიმართვაში, რომელიც ითხოვდა მის მიერ "გამომზიურებული" მძლავრი ანტისაბჭოთა ბირთვის განადგურებას. მაშინ წამოაყენა მან იმ "სამეულის" შექმნის იდეა, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა გამოეტანა სასიკვდილო განაჩენი. და ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.

კიდევ ერთხელ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას: სტალინური კონსტიტუციის ნორმით ჩატარებული არჩევნები – **აი, რა აშინებდა "ელიტას", რომელსაც ეშინოდა საკუთარი კეთილდღეობის დაკარგვისა და ამიტომაც მოითხოვდა სულ უფრო მეტ და მეტ მსხვერპლს!**

არჩევნები რომ ისე ჩატარებულიყო, როგორც ამას სტალინი გეგმავდა, იგი კი გეგმავდა დემოკრატიული არჩევნების ჩაატარებას, რაც გაანთავისუფლებდა ქვეყანას გადამწიფებული ბიუროკრატიისაგან, ნაძირალების ადგილი ნამდვილად აღარ დარჩებოდა საბჭოთა სინამდვილეში, როგორც პარტიულ, ისევე საბჭოთა ორგანოებში. და ისინი წავიდნენ იერიშზე და მოაწყვეს რეპრესიული პროვოკაციები საბჭოთა წყობილების დასაცავად გამოგონილი სამრეწველო შეთქმულებებით და ა.შ. შემდეგ ისინი იოლად ხსნიდნენ თავიანთ მიერ დაგეგმილ "დანაშაულებს" და ავლენდნენ მათ "ავტორებს".

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,
(გაგრძელება იქნება)

სიტყვა წარმოთქმული მუხრან მაჭავარიანის ბიუსტის გახსნაზე საჩხერეში



2015წ 17 მაისს საჩხერეში, ბ-ნ მუხრან მაჭავარიანის გარდაცვალებიდან ზუსტად 5 წლისთავზე, მისი სახელობის ქუჩაზე ულამაზეს სკვერში, საქვეყნოდ ცნობილი მოქანდაკის, ბ-ნ ბიძინა ავალიშვილის მიერ შესანიშნავად შესრულებული პოეტის ბიუსტი გაიხსნა. საზეიმო ცერემონიალს უძღვებოდა ბ-ნი ელდარ ნადირაძე. მონაწილეობდნენ პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და რაიონის დეპუტატი ქ-ბნი მანანა კობახიძე, იმერეთის გუბერნატორი ბ-ნი გივი ჭიჭინაძე და რეგიონის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები. ღონისძიებაზე სიტყვით მეც გამოვედი, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

ძვირფასო საჩხერელებო, მობრძანებულო სტუმრებო, ქალბატონებო და ბატონებო! ბ-ნ მუხრანს და მის შემოქმედებას ხალხის წინაშე წარდგენა, რომ არ ჭირდება ეს საყოველთაოდ ცნობილია და ამაზე აღარ შეეჩერდები. თავისი ხალხისა და ქვეყნის წინაშე მისი დიდი დამსახურება და სიყვარული, საქვეყნოდაა აღიარებული, რომელიც კიდევ ერთხელ დადასტურდა და კარგად გამოჩნდა მისი დაბადებიდან 80 წლის იუბილეზე, რომელიც მთელმა ქვეყანამ საზეიმოდ აღნიშნა. საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში აღინიშნა მისი ეს ღირსახსოვარი იუბილე, რომელთა ერთ-ერთი მონაწილე და თვითმხილველი მეც გახლავართ. უნდა ვაღიარო, რომ ისეთი თბილი, გულითადი და წრფელი სიყვარულით გამსჭვალული საზეიმო სხდომა, რომელიც მას საჩხერელმა თანამემამულეებმა მოუწყვეს, არც ქუთაისსა და არც თბილისში არ იგრძნობოდა. მეამაყება, რომ მეც ამ კუთხის შვილი ვარ ჭიათურიდან. იმ კუთხის შვილი, რომლის ხალხმა სიყვარული, სითბო, ამაგის დაფასება და პატივისცემის ათმაგად გადახდა იცის. ეს რომ ლიტონი სიტყვები არაა, ამას დღევანდელი დღეც ადასტურებს. ყველაფერი ამისათვის დიდი მადლობა თქვენ, ძვირფასო საჩხერელებო და ჩამობრძანებულო სტუმრებო, რომლებმაც პატივი ეცით ბ-ნ მუხრანის ხსოვნას, დააფასეთ მისი ოჯახი, მისი მშობლიური კუთხე და ამ საზეიმო ცერემონიალზე მობრძანდით. სადავო არაა, რომ ბ-ნი მუხრანი თავისი ქვეყნის დიდი პოეტი და მის სიყვარულში ჩაფერფლილი ღირსეული მამულიშვილი იყო, რის გამოც ქართველ ხალხში იგი უდიდესი ავტორიტეტით, პატივისცემითა და საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა. მასში, სიტყვა საქართველო და ქართველი ხალხი, მშობლიურ დედის სიყვარულთან იყო გათანაბრებული. ამ სიყვარულით იცხოვრა მან მთელი თავისი არცთუ ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე. სამშობლოსადმი მის ასეთ სიყვარულს, არც ქართველი ხალხი დარჩენია ვალში, რომელმაც საკუთარი შვილივით შეიყვარა იგი და დიდების შარავანდედით შემოსა. მიუხედავად ხალხის ასეთი სიყვარულისა, მისი ცხოვრების გზა ყოველთვის ვარდ-ყვავილებით მოფენილი არ ყოფილა. მას ხშირად უწევდა, როგორც ხელისუფლების ასევე ზოგიერთი მოშურნე ახლობელის მხრიდანაც კი, უსაფუძვლო და უსამართლო კრიტიკის მოსმენა. განსაკუთრებით მძიმე იყო მისთვის საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდი, 90-იანი წლები. ერთი პერიოდი ზოგიერთმა ახლობელმაც კი მიატოვა და განზე გადგა, რასაც ძალზე განიცდიდა, ამ მოვლენას კი ახსნას ვერაფრით უძებნიდა. ხოლო ზოგიერთი ნაძირალა იმ დონეზედაც დაეცა, რომ მისი საცხოვრებელი სახლის ფანჯრებს ავტომატის ჯერი მიუშვა. მის გარშემო შექმნილმა ასეთმა არაადეკვატურმა და გაუსაძლისმა მდგომარეობამ, პოეტს დააწერინა კიდეც სინანულითა და ნაღველით შეზავებული შემდეგი სტრიქონები:

ჩემთვის ძვირფასი შენ აქომამდე,
შენც თითლიბაზი უცებ გამოდექ!
საქმე არაა განა საზღაპრო?!
რას ვამბობდი და ახლა რას ვამბობ!
ან,
მეცოდება მეგობარი გუშინდელი,
(აღარ მოაქვს ვისაც ჩემთვის რქაწ-ითელი)
რომ ჰგონია,უკვე აღარ დავჭირდები!
მეცოდება მეგობარი გუშინდელი,
(თბილისელი, საჩხერელი, ზუგდიდელი..)
ცოლიანა, შენი როა, თუ ჭირდები!

ძვირფასო მეგობრებო, თქვენ თვითონ განსაჯეთ რა მდგომარეობამდე უნდა ყოფილიყო მისული ბ-ნი მუხრანი, ეს სიტყვები რომ დაეწერა. ზოგიერთებმა ესეც არ აკმარეს და ქვეყნის ღალატიც დასწამეს. რომელსაც იმ პერიოდში დაწერილ თავის ერთ-ერთი ლექსით, ასევე გულნატკენი და გაკვირვებული ეხმაურება:

საქართველოში სუფევს დომხალი:
ხარ მოღალატე რახან დუმხარო.
და, უკვე, ერის ღალატს მწამებენ
და, თან, ვინ მერე?! ნაღდი ამება!..
კიდევ კარგი, რომ იცის მუხრანმა
რა ხანმოკლეა ეს შეღამება!

არა მარტო თქვენთვის, მთელი საქართველოსათვისაა ცნობილი, რომ ბ-მა მუხრანმა მთელი თავისი შემოქმედება და შეგნებული ცხოვრება, თავისი ქვეყნისა და ქართველი ხალხის სიყვარულს მიუძღვნა. მის მიერ დაწერილი ყველა სტრიქონი, ქვეყნის პატრიოტიზმისა და მისი ხალხის სიყვარულის გრძნობითაა გაჟღენთილი. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ქვეყანაში სამშობლოს სიყვარული და ტრადიციები, ბოლო პლანზეა გადაწეული და მეორეხარისხოვან ადგილს იკავებს. ის კი არა, საქმე იქამდე მივიდა, რომ ხელისუფლების ერთერთი უმაღლესი შტოს ხელმძღვანელი იმასაც კი აცხადებს, რომ ჩემი შვილების სამშობლო ისაა, სადაც ისინი კარგად იქნებიანო. ხოლო მისი მეუღლე, თავდაცვის მინისტრი, აფხაზეთის დაკარგვას დიდ ტრაგედიად არ აღიქვამს. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია თანდათან უფრო ღრმავდება და ძალას იკრებს, ამათ მოსურნეებს კი ძალას მატებს და ახალისებს, სხვა ქვეყნის დაფინანსებული და ჩვენი ქვეყნის მოღალატე ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარში დგომა და ფინანსური მხარდაჭერა. მინდა პარალელი გავავლო ამავე კუთხის შვილის, XIX საუკუნის გენიალური ქართველი პოეტის, მუდამ ქართველი ხალხის სიყვარულში ჩაფერფლილი და ყოველთვის მისი გამოფხიზლების სადარაჯოზე მდგარი, ქვეყნის დიდი პატრიოტის და საქართველოს ბულბულად წოდებული აკაკი წერეთლის მიერ, ილია ჭავჭავაძის კუბოსთან, მის მიერ წარმოთქმულ გამოსათხოვარ სიტყვასთან. სადაც მხცოვანმა პოეტმა გულისტკივილით აღნიშნა: **“თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და გონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ!”** ბ-ნო მუხრან, თუ მართლა ასე გაგრძელდა და ქართველ ხალხში ჩაკვდა სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი წარსულს ჩაბარდა, დავიწყებას მიეცა წინაპართა ტრადიციები, დაიკარგა უფროს-უმცროსობის ადგილი და პატივისცემა, მაშინ მართლა ნეტავი შენ, რომ მაგ შენის სიკვდილით წინა-უსწარ ამ უბედურებას და თვალით ვეღარა ნახავ.

ძვირფასო მეგობრებო, საქვეყნოდაა ცნობილია ბ-ნი მუხრანის დამოკიდებულება აკაკი წერეთლის მიმართ. როგორც იტყვიან აკაკი მისი სალოცავი იყო, რომლისთვისაც უამრავი საქებარი სიტყვები აქვს მიძღვნილი. ერთ-ერთ თავის შესანიშნავ ლექსში ბ-ნი მუხრანი ბრძანებს:

“მე ის ბიჭი არ გახლავართ, ვინმეს ყალბად პატივს ცემდეს
რაც არ უნდა მიდვან-მოდვან აკაკია შოთას მერე”.

ამ ლექსთან დაკავშირებით არალეგალურ კრიტიკოსებზე, თვითონ ამბობდა, რამდენი სულელია ამ ქვეყანაზე, თურმე ზოგზოგები მაბრალებენ: რაკი აკაკი საჩხერელია და მეც საჩხერიდან ვარ, თურმე ამიტომ დამიწერია ეს ლექსი და ასეთი შეფასებაც ამიტომ მიმიციაო. ახლა ამის მთქმელი სულელია აბა რა არისო, გულწრფელად უკვირდა ბ-ნ მუხრანს. როგორც ყველა ღირსეული დიდი ქართველი მამულიშვილის, მისი ნატვრაც მთაწმინდის სანუკვარ მიწას მიბარება იყო. რასაც არც მალავდა, და არც თუ შეფარულად, მისი სათაყვანებელი აკაკის სტილში წერდა კიდეც.

“მეც მეხარბება ვითარცა, შეხარბებია ბარე ორს
დედაშვილობას ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო”.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა ბ-ნ მუხრანს ეს სურვილიც აუსრულა და მისი ნეშტი მთაწმინდის საოცნებო მიწას მიაბარა. სამწუხაროდ ეს მოხდა საკმაოდ ნაადრევად, ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე, ჭარმაგი და ჯანმაგარი მუხრანი ნაადრევად მიიბარა მთაწმინდის მიწამ. იმქვეყნად ასე საღსალამათად წასვლა, რომ უნდოდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ესეც პოეტის შინაგანი სურვილი იყო. ბ-ნ მუხრანს, ბუნებით ამ ვაჟკაც კაცს, ძალზე ეშინოდა სიბერეში დაუძლურებისა და დაჩაჩანაკების, მითუმეტეს არაფრით უნდოდა ასეთი სახით იმ ქვეყნად წასვლა. რასაც ამბობს კიდევაც თავის ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსში:

“ყოველდღე ვხედავ უბანში ვერის
დადის მოხუცი ნაბიჯით ნელით
მეც თუ ასეთი სიბერე მელის
მოდი ახლავე მომისვი ცელი”.

სამწუხაროდ, ღმერთმა ამ შემთხვევაშიც მოუსმინა ბ-ნ მუხრანს და იმქვეყნად, დროზე ადრე სრულიად ჯანმრთელი და საღ-სალამათი წაიყვანა.

ძვირფასო საჩხერელებო, საამაყო გაქვთ, რომ საქართველოს ამ უმშვენიერესმა, მაგრამ ერთობ პატარა კუთხემ, ბევრი ღირსეული მამულიშვილი მისცა სამშობლოს. ყველა მათგანის ჩამოთვლისაგან თავს შევიკავებ, მაგრამ რამდენიმეს, გამორჩეულებიდან ყველაზე გამორჩეულს დავასახელებ. თუ XIX საუკუნის საქართველოს აფხიზლებდა და ქვეყნის სადარაჯოზე დაუღალავად იდგა აკაკი წერეთელი, XX საუკუნის საქართველოს მხარში ედგნენ და ერთგულად ემსახურებოდნენ პაოლო იაშვილი და მუხრან მაჭავარიანი. საინტერესოა, რომ ორივენი ერთი სოფლიდან, არგვეთიდან იყვნენ. საქართველოში არ მოიპოვება, არა თუ ასეთი პატარა კუთხე, არამედ დიდი ქალაქიც კი, საიდანაც მთაწმინდის სანუკვარ მიწაში მისი სამი წარმომადგენელი განისვენებდეს. მართალია პაოლო იაშვილის ცხედარი, გასაგები მიზეზების გამო მთაწმინდაზე არ განისვენებს, მაგრამ ამ კურთხეულ მიწაზე დადგმულ სხვა რეპრესირებულ ღირსეულ ქართველ მამულიშვილთა მემორიალურ დაფას მისი გვარიც ამშვენებს. როგორც ჩანს, ღმერთი არც XXI საუკუნეში ტოვებს საჩხერეს უყურადღებოდ და ამ კუთხიდან სამშობლოს გადასარჩენად კიდევ ერთი პიროვნება მოუვლინა ქვეყანას. პიროვნება, რომელსაც დიდხანს ნატრობდა “ჩუმის ნატვრითა ქართველი”. ამ კაცმა იმდენი გააკეთა თავისი ქვეყნისათვის, რომ უკვე საკმაოდ მყარი პიედესტალი შექმნა ზედ თავისივე ძეგლის აღმასართავად. მჯერა, რომ ბ-ნი ბიძინა ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს და საქართველოს ისტორიაში არა მოღალატის, არამედ საქართველოსა და ქართველი ხალხის გადამრჩენის იმიჯით შევა. გაწეული სამსახურისათვის კი მადლიერი ქართველი ხალხი, ამ პიედესტალზე მას, გმირის ძეგლს დაუდგამს და საქართველოს ისტორიაშიდაც ამ სტატუსით შეიყვანს.

ძვირფასო საჩხერელებო, რაიონის აღგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელებო, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ გაწეული მუშაობისათვის და ამ კუთხის შვილისა და ქვეყნის ღირსეული მამულიშვილის, ბ-ნ მუხრან მაჭავარიანის ხსოვნის პატივისცემისა და მისი სახელის უკვდავსაყოფად, მის მშობლიურ საჩხერეში ამ შესანიშნავი სკულპტურული მემორიალის გახსნისათვის. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ამ საქმის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, პროექტის განხორციელებიბისათვის დაუღალავ მებრძოლს ქალბატონ ნანა მაჭავარიანსა და მის მარჯვენა ხელს, საჩხერის რაიონის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელს ბ-ნ ლევან ჩხეიძეს. ღმერთმა კვლავაც არ მოგიშალოთ ასეთი სასიკეთო საქმეების კეთებისათვის დაუღალავი შრომა და გარჯა. იცოცხლეთ მრავალჟამიერ!

ᲝᲛᲐᲠ ᲒᲝᲪᲐᲫᲔ

პოეზიის კუთხე

ᲠᲝᲙᲘ ᲑᲐᲑᲣ

ჩქიმ ფრიმულამ როკი ბაბუს
ეჩდო ვითი მოთა არდუ,
ოთხონეჩის მიკაჩირთ დო
ცოროფილშა მირაბადუ...
მოგოთანეთ გემნოტყობუნს:
– “ჭკვერას ქორდა” – მირაგადუ...
– ფარა ქომუ, ვარა ირფელს
“ქოითხობელა” – ურაგადუქ...
– “წიე, სი მუს ოცირქინა”
გოძიცელო მირაგადუ,
დადის მუთუნ ვაუწუა დო
“ირფელ სქანო
მოკო, ბაბუ”...

ᲛᲐᲠᲓᲘᲡ ᲛᲣᲒᲝᲨᲘᲜᲐ

ღორონთ, მუშენ გუმორჩქინი,
მოკოდუო მა გორჩქინა?
მარა, იშენ გორჩქინაშე,
იშენ მარდის მუგოშინა...

ᲠᲐᲛᲐᲖ ᲙᲣᲞᲠᲐᲜᲐᲠᲓᲘᲨ ᲙᲘᲠᲪᲮᲘ

თოლშა კითი ვემიღინე,
ტყვაცი, გურგინი დო ვალი,
ვო, ღორონთი, სქან სანთელო,
მა საფულეს ქიმთმაფალი...
ვარა ეგბა გონებუნდა,
სქანი ჭკორიშ რსხება, მირსხი!..
ართნერ დღალეფს მებკოროცხგ
გიმოკირცხანს ნარღიშ კირცხი...

ᲠᲐᲛᲐᲖ ᲙᲣᲞᲠᲐ

ᲙᲘᲑᲔ

ვერ მოვიშორეთ ჭირი და სენი,
ვართ მჯგუფენი, ვართ მედასენი,
ხან რუსოს ვეტრფით, ხანაც
დასენი
მოგვწონს... ხან თვითონ ვმ-
ღერივართ გულში,
დღეს გვენატრება, რაც იყო გუშინ
და... მხიარულში გვერევა ქუში.
მიტომაც ასე ვართ გაფანტული,
შემოგვრდეევია ხამლი, ბანდული
და... ქართულს თითქმის არ
ჰგავს ქართული.
გადმოპირქვავდა ქორონიკონი,
აქეთ – პეტრენი,
იქით – ნიკონი
და... ამ ყველაფერს იღებს “ნიკონი”.
ვინც გაივაკა, წარბი აზიდა,
მას ბევრი უკან მიჰყვა ყასიდად
და... მართალს ამბობს ერთი ასიდან.
აჭრელდა ტექსტი წერტილმძიმეთი,
ხან ვაიმეთი, ხანაც იმეთი
და... გვაქვს იმედი მხოლოდ იმ
ერთის.
რაც ააღლიტეს ხალხს
სამკვიდრონი,
ჩაქრნენ თვალები
დიდრონდიდრონი,
ხოლო სადგურნი ჩვენნი,
ჰიდრონი,
სხვისთვის ავსებენ შუქით ნა-
თურებს.
არც ჰოოპუნას, აღარც ნადურებს
მღერიან სადმე... ხელს აფა-
თურებს
სულში ეშმაკი... ჩუქნის ვაუჩერს,
ვინც ტაშს დაუკრავს, მხარსაც
დაუჭერს,
ჩვენ რა ვქნათ, თორემ ეშმაკს
რა უჭირს!
მარადქართული კითხვა: “ვისია?”
დღეს იგივეა, რაც “რევიზია”
და ბევრი კიდეც ნანობს, ზიზია
სახლ-კარი რომ აქვს... ახლა
ზიზიებს
რომ უთხრა “ოშკი” ან “აზიზიე”,
მეტი რომ არ ვთქვა, თავს გაგ-
ისიებს.
თუ ესმის ვინმეს რეკვა ზართანი?..
გარდანქეშანმა მორთო ზღარ-
თანი,
როცა აღმოჩნდა ბოლო ზღვართან
ის
და გდია გრიმით პირმოთითხნული...
ცერებზე დგება ვიღაც
დიდგული,
მისია კიბე, ცისთვის მიდგმული.

ᲠᲐᲣᲚ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐ

ილორი
ეროვნული ბიბლიოთეკა

უპრესის მოლოდინში

ძველი ჟურნალ-გაზეთების თვალიერებისას წავაწყდი 1992 წელს გამოცემულ ჟურნალ „რელიგიის“ მეექვსე ნომერს.

„რელიგია“ ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვავის მკვიდრთა ერთი ჯგუფის წერილს აქვეყნებს.

წერილის ავტორები „მრგვალ მაგიდას“, ანუ ეროვნულ ხელისუფლებას თაღლითობაში ადანაშაულებენ. როგორც ავტორები გვაუწყებენ, 1991 წლის 29 აპრილის მიწისძვრის შემდეგ „მრგვალი მაგიდის“ წევრს, სოფლის სტუმარს ჯემალ ფანცულაიას სოფლის დანგრეულ ეკლესიასთან ხილვა ჰქონია. გამოეცხადა წმინდანი და გადაწყვიტა ყულაბა დაედგა, რათა შემოწირული თანხით სოფელს მიწისძვრისგან დანგრეული ეკლესია აღედგინა.

სხვაველთა ერთმა ჯგუფმა ხილვა და ყულაბის დადგმა თაღლითობად მონათლეს, თანაც ერთი კაცის თაღლითობად კი არა, არამედ „მრგვალი მაგიდის“, ანუ ეროვნული ხელისუფლების თაღლითობად და რედაქციას თხოვს იხსნას თაღლითი ხელისუფლებისგან!

ეს ცილისწამება იმ დღეებში ხდება, როცა ხელისუფლებამ დაუყონებლივ დაიწყო მიწისძვრისგან დანგრეულ-დაზიანებული საცხოვრებელი სახლების, დამხმარე ნაგებობებისა და გზების სრულიად უსასყიდლოდ აღდგენა!

ჯემალ ფანცულაიას ფულით სავსე ყულაბა, ან თანხის რადაც ნაწილი რომ მოეპარა, ავტორები ჟურნალ „რელიგიას“ კი არ გაუგზავნიდნენ წერილ-საჩივარს და თხოვნას დაეცვათ „მრგვალებისაგან“, არამედ რესპუბლიკის პროკურორს.

მათთვის ყულაბის დადგმის ფაქტიც საკმარისი იყო იმისთვის, რათა ეროვნული ხელისუფლებისთვის სახელი გაეტეხათ. რა თქმა უნდა, ამგვარი შინაარსის წერილ-საჩივარს „რელიგიის“ მთავარი რედაქტორი ბატონ ვიქტორ რცხილაძე სიამოვნებით გამოაქვეყნებდა.

ყულაბაში ჩაყრილი, შემოწირული თანხით დანგრეულ-დაზიანებული ეკლესიის აღდგენა, ან სხვა საქველმოქმედო მიზნით ამ თანხის გამოყენება თაღლითობა არ არის. იგი მადლია და მართლმადიდებლობა ამგვარ ქველმოქმედებას არა კრძალავს. არც ხილვები და წმინდანთა გამოცხადებებია დაუჯერებელი და უჩვეულო რამ. ასე მხოლოდ ათეისტები ფიქრობენ.

წერილის ავტორებო! თუ ყულაბის დადგმა და წმინდანის ხილვა თაღლითობაა, რას დაარქმევთ იმას, რაც თქვენთვის ე.წ. „თაღლითი“ ხელისუფლების წარმომადგენელს, უზენაესი საბჭოს დეპუტატს დამართეთ?

თქვენ კარგად იცით, მისი წინაპრები და მშობლები სხვაველები იყვნენ. ზოგიერთ თქვენგანს მასთან ნათესაობაც გაკავშირებთ. მას სხვავაში წინაპართა სახლი და ეზო-კარმიდამო ჰქონდა. მიწისძვრამდე მასთან პარლამენტში თხოვნით მივიდა სხვავის საკრებულოს თავმჯდომარე ახალგაზრდა კაცი ზაზა მეტრეველი. ამბროლაურიდან სხვავაში ტელეფონის გაყვანა გვინდა და დაგვეხმარეო. შეახვედრა კავშირგაბმულობის მინისტრს და თხუთმეტ წუთში საქმე დადებითად გადაწყდა. სულ მალე, თითქმის ყველა სხვაველის სახლში ტელეფონს დაუდგამდნენ თუ არა მიწისძვრა.

მიწისძვრის შემდეგ დეპუტატის წინადადებით გლდანის რაიონის პრეფექტურა სხვავას ეხმარებოდა. ძირითადად აგზავნიდნენ საკვებს, ტანსაცმელს, საბნებს, კარვებს...

მოგვიანებით ცნობილი გახდა: ზოგიერთ სხვაველს იმდენი მაკარონ-ვერმიშელი დაუგროვებია, თურმე ღორებს აჭმევდნენ! ისიც გახმაურდა: ზოგიერთი ახლადაშენებულ ბლოკის სახლში რომ დაბინავდა, უკმაყოფილებას გამოთქვამდა – ხელისუფლებმა ევრორემონტი რატომ არ გააკეთა და იმპორტული ავეჯი არ დაგვიდგესო!

უზენაესი საბჭოს დეპუტატის ამომრჩევლები 24-ე საარჩევნო ოლქიდან, ქარხანა **“ცენტროლიტის”** მუშა-მოსამსახურენი, სხვავაში აღდგენით სამუშაოზე უსასყიდლოდ შრომობდნენ ბატონ თემურ ყალიჩავას ხელმძღვანელობით.

დეპუტატმა როცა შეიტყო მის დანგრეულ სახლს აშენებას უპირებდნენ თემურ ყალიჩავას ნება არ დართო, აუკრძალა. **პირველ რიგში მათ აუშენეთ, რომლებიც სოფელში ცხოვრობენ, შემდეგ სხვებს!** ასეთი იყო დეპუტატის **“თაღლითური”** გადაწყვეტილება, თუმცა კანონით მასაც ეკუთვნოდა მიწისძვრისგან დანგრეული სახლის აღდგენა.

სამხედრო-კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, სხვავაში, როგორც მთელ რაჭა-იმერეთში. აღდგენითი სამუშაოები შეაჩერეს, ერთი აგურიც აღარ დადებულა! წერილ-საჩივრის ავტორები ამის შესახებ ხმას არ იღებენ.

წერილ-საჩივრის ავტორებო! სხვაველებმა დამხობილი ხელისუფლების წარმომადგენელს ოდაბადე გაუძარცვეს, დანგრეული სახლი ფიცრებად დაშალეს და მოიპარეს, მოიპარეს ავეჯი, ჭურჭელი... რას დაარქმევთ ამას? თაღლითობას? არა მგონია, ალბათ იტყვით: ცუდად დადებული ვიღაცამ აიღო!

დეპუტატი კი შეძლებისდაგვარად სოფელს ეხმარებოდა და არა მარტო იგი, არამედ ეროვნული ხელისუფლება. თქვენ კი სამაგიერო ასე გადაუხადეთ როგორც მას, ასევე ეროვნულ ხელისუფლებას.

ეს ქურდობაზე ბევრად ცუდი და საშიშია! ეს ადამიანის ზნეობრივი დეგრადაციაა!

დიდი ფრანგი მწერლის ვიქტორ ჰიუგოს ცნობილი რომანის ლიტერატურული გმირი მცირეწლოვანი მშიერი დისშვილისთვის პურს მოიპარავს, რისთვისაც კანონი მკაცრად დასჯის, მაგრამ მას ქურდსა და არამზადას ვერ ვუწოდებთ! იგი ადამიანური მორალის, ადამიანური ზნეობის აპოთეოზია!

თქვენ კი სხვაველებო, მშიერი ბავშვებისთვის პურს კი არ იპარავდით, არამედ ისეთ ნივთებს, რაც თქვენც ბევრი გქონდათ. თანაც, მარტო მიტოვებულ სახლებს კი არ ძარცვავდნენ, არამედ ერთმანეთის სახლებსაც.

გეხსომებათ სხვაველებო! ადრე სოფელში კარს არა კეტავდნენ, უბრალოდ გადარაზავდნენ, ქარს რომ არ გაედო და თვეობით უმეთვალყურეოდ ტოვებდნენ. არავინ ქურდობდა! ქურდობა დიდი სირცხვილი და თავისმოჭრა იყო!

რატომ ვაქციეთ ზურგი წინაპართა ცხოვრების წესს? ეროვნულ ტრადიციებს, მამა-პაპურ პატიოსნებას? რატომ ვცეკვავთ უცხოელთა დაკრულზე? რატომ ვერ ვცნობთ მტერს და ვგმობთ მოყვარეს?

საუბედუროდ, ამა ქვეყნის თავადმა საქართველოშიც გააბატონა ცხოვრების ამგვარი გაგება და თუ ჩვენ წინ არ აღვუდგებით ჯაბასეულ ქურდულ გაგებასა და მხედრიონის მორალს, მაშინ როცა მოსაპარი მატერიალური ნივთები და გასაყიდი ძირძველი ქართული მიწები გამოილევა, სულგაყიდულნი ქართული სულიერების ქურდობასა და მის გაყიდვას დაიწყებენ.

თენგიზ კუბლაშვილი

მე არ მწამს ღმერთის, მაგრამ მეშინია მისი... – გაბრიელ გარსია მარკესის გენიალური გამონათქვამები

დღეს გაბრიელ (ხოსე დე ლა კონკორდია) გარსია მარკესი 90 წლის გახდებოდა. რომანისტი, ნოველისტი, ჟურნალისტი, სცენარისტი, დრამატურგი, მწერალი, გამომცემელი, პოეტი, ადვოკატი და ავტობიოგრაფი 1927 წლის 6 მარტს არაკატაკაში დაიბადა და 87 წლის ასაკში, 2014 წლის 17 აპრილს გარდაიცვალა... კოლუმბიის პრეზიდენტმა ხუან მანუელ სანტოსმა მწერალს გარდაცვალების დღეს **“ყველა დროის ყველაზე დიდი კოლუმბიელი”** უწოდა.

მარკესი XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი მწერალია. მიღებული აქვს ნეიშტადტის საერთაშორისო ლიტერატურული პრემია, 1982 წელს კი ლიტერატურაში ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. მხარს უჭერდა თვითგანათლებას, რაც იმით დასრულდა, რომ თავი დაანება სამართლის სკოლას და ჟურნალისტურ კარიერას შეუდგა. ამ სფეროში, თავიდან აკრძალვების გარეშე აკრიტიკებდა კოლუმბიისა და უცხოურ პოლიტიკას. 1958 წელს მარკესი დაქორწინდა მერსედეს ბარჩაზე, მათ ორი ვაჟი შეეძინათ.

ჟურნალისტობის პერიოდში წერდა ბევრ ხმაურიან არამხატვრულ ნაშრომსა და მოთხრობას. თუმცა, ცნობილი მწერალი პოპულარული გახდა რომანებით: **“მარტოობის ასი წელიწადი,” “პატრიარქის შემოდგომა”** და **“სიყვარული ჟამიანობის დროს”**.

მარკესის ჟურნალისტური წარსული მის სამწერლო კარიერაში სერიოზული ბაზა აღმოჩნდა. როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი ბელ-ვილიადა აღნიშნავდა: **“ჟურნალისტური გამოცდილების წყალობით, მარკესი ამჟამად მცხოვრებ ყველა მწერალზე დიდებულია, ერთადერთია, რომელიც ყველაზე ახლოსაა ყოველდღიურ რეალობასთან”.**

მისმა ჟურნალისტურმა ნამუშევრებმა მნიშვნელოვანი კრიტიკა გამოიწვია და მასშტაბურ კომერციულ წარმატებას მიაღწია, ძირითადად, ლიტერატურის იმ სტილის პოპულარიზაციისთვის, რომელსაც მაგიური რეალიზმი უწოდეს. ეს სტილი ჩვეულებრივ, რეალისტურ სიტუაციებთან ერთად, იყენებს მაგიურ ელემენტებსა და მოვლენებს. მარკესის ზოგიერთი ნამუშევრის მოქმედება ხდება გამოგონილ სოფელ მაკონდოში (რომელიც ძირითადად შთაგონებულია მარკესის მშობლიურ ქალაქ არაკატაკათი) და მათი უმრავლესობა მარტოობის თემატიკას მიჰყვება.

გთავაზობთ მარკესის რამდენიმე გამონათქვამს, რომელიც დროს ნამდვილად უსწრებს.

• მე არ მწამს ღმერთის, მაგრამ მეშინია მისი.

• ცხოვრება იდეალური მწერალია და მან ყველაზე უკეთ იცის, თუ სად უნდა დასვას თავისი ლოგიკური წერტილი.

• ორი ცოლი უნდა ჰყავდეს კაცს: ერთი სიყვარულისათვის და ერთიც იმისთვის, რომ ღილები დაუკეროს.

• თუ გინდა სიბერეში სიმშვიდეს მიაღწიო, ერთგულად უნდა დაუმეგობრდე მარტოობას.

• გახსოვდეთ, რომ ქორწინებაში მთავარი სტაბილურობაა და არა ბედნიერება.

• მე არ ვარ მდიდარი. მე ვარ ღარიბი კაცი, რომელსაც აქვს ფული – ეს ორი ცნება კი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან.

• ზოგიერთები გამოიკეტებიან მარტოობაში, სიყვარულში და ამ სიყვარულის მარტოობაში, ხოლო მათი სიყვარული ამ სიყვარულშივეა ჩაძირული და ჩაფერფლილი და ცხოვრობენ ერთ დიდ, უკაცრიელ სამყაროში, სადაც სიყვარულია ერთადერთი და მარადიული რეალობა და ერთ არსებად ქცეულნი ნელ-ნელა იძირებიან მარტოობაში.

• აუცილებელი არ არის, ყველას უთხრათ სიმართლე, მაგრამ ყველაფერი, რასაც იტყვით, უნდა იყოს სიმართლე.

• მე შენ მიყვარხარ, არა იმიტომ რომ შენ ხარ, არამედ ვინ ვარ მე, როცა შენს გვერდით ვარ.

• არცერთი ადამიანი არ იმსახურებს ცრემლებს, ხოლო ვინც იმსახურებს, არასოდეს აგატირებს შენ.

• მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცას არ უყვარხარ ისე, როგორც შენ გინდა რომ უყვარდე, იმას არ ნიშნავს, იმ ადამიანს მთელი გულით არ უყვარხარ.

• ნამდვილი მეგობარი ის არის, რომელსაც უჭირავს შენი ხელი და გრძნობს შენს გულს.

• ყველაზე საშინელი მონატრებაა, იყო მის გვერდით და აცნობიერებდე, რომ ის არასდროს იქნება შენი.

• არასდროს მოიშორო სახეზე ღიმილი მაშინაც კი, როდესაც სევდიან განწყობაზე ხარ, ვიღაცას შეიძლება შენი ღიმილი შეუყვარდეს.

• შეიძლება ამ სამყაროში მხოლოდ ადამიანი ხარ, მაგრამ ვიღაცისთვის მთელი სამყარო ხარ.

• არ ფანტო დრო იმ ადამიანზე, რომელიც არ ისწრაფვის იმისკენ, რომ დრო შენთან ერთად ატაროს.

• შეიძლება ღმერთს სურს, რომ ხვდებოდეთ უვარგის ადამიანებს მანამ, სანამ შეხვდები იმ ერთადერთს... იმიტომ, რომ როცა ეს მოხდება, ჩვენ მადლიერნი ვიყოთ.

• ნუ ტირი იმიტომ, რომ ეს დამთავრდა, გაიღიმე იმიტომ, რომ ეს იყო.

• ყოველთვის მოიძებნებიან ისინი, ვინც ტკივილს მოგაყენებენ, მაგრამ არ უნდა დაკარგო რწმენა ადამიანების მიმართ, უბრალოდ, ცოტა ფრთხილად იყავი.

• გახდი უკეთესი და შენვე მიხვდი თუ ვინ ხარ, სანამ შეხვდები ახალ ადამიანს იმ იმედით, რომ შენ ის გაგიგებს, შეგიცნობს.

• ნუ გამოავლენ ესოდენ ძალისხმევას, ყველაფერი საუკეთესო მოულოდნელად ხდება.

• უნდა მოვუსმინოთ ბავშვს, რომელიც ოდესღაც ცხოვრობდა ჩვენში, რომელიც იყავი ოდესღაც და ახლაც არსებობს სადღაც შენს სიღრმეში. თუ მას მოვუსმენთ, ჩვენი თვალები ისევ გაბრწყინდება, თუ მის მოსმენას არ შევწყვეტთ, არ შევწყვეტთ ცხოვრებასთან კავშირსაც.

• იმ დღეს, როდესაც ადამიანები პირველი კლასით იმგზავრებენ, ხოლო წიგნებს სატვირთო ვაგონით ატარებენ, მაშინ დადგება სამყაროს აღსასრული.

• ასაკი ის კი არ არის, თუ რამდენი წლის ხარ, არამედ ის, თუ როგორ გრძნობ მას.

• საბოლოოდ შეუძლებელია არ გახდე ის, ვინადაც გთვლის ყველა.

• უძლეველი ძალა, რომლითაც დედამიწა ბრუნავს, ბედნიერი სიყვარული კი არა, უბედური სიყვარულია.

• უსიყვარულო სექსი აწყნარებს მას, ვისაც სიყვარული არ გამოუცდია.

• ადამიანს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება ზემოდან უცქიროს მეორეს, როცა მას წამოდგომაში ეხმარება.

• აიხდინე შენი ოცნებები, ახლა სწორედ ამის დროა.

• ყოველი ნივთი ცოცხალია, მხოლოდ უნდა გაადვიძო მისი სული.

• ყოველი წამი ცხოვრების კიდევ ერთი შანსია.

ლალი ფაცია

ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

მართალია, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი საზოგადოებას რამდენჯერმე შეპირდა მედიკამენტებზე ფასების შემცირებას, მაგრამ ასეთი არაფერი მოხდა. პირიქით, ბევრი წამალი უფრო გაძვირდა. ეტყობა, პატივცემული მინისტრი ვერაფერს გახდა ნაციონალურ ფარმაკომაფიასთან და მის ნათლიმამასთან, მარადიულ და უბერებელ კანონმდებელთან, ეუთოს პრეზიდენტობაზე ხელმოცარულთან წერეთელთან უთანასწორო ჭიდილში.

სხვამხრივ, სენმორეულმა, სხვათაგან დახმარებით რამენაირად რომ მოახერხოს და საჭირო წამლის შესაძენი ფული შეაგროვოს, აფთიაქში მისულს, ის ძვირი **"უკვდავების"** საშუალება, ლარის კიდევ უფრო გაუფასურების გამო, შეიძლება უფრო მეტად გაძვირებული დახვდეს!

ბატონო პრემიერო!

ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ წინსვლა და ზრდა-მატება, ძალზე ბევრ რამეში, ყოველთვის სასურველია და გასახარი, გარდა... ლარის კურსის შეუჩერებელი და შემაშფოთებელი გაუფასურება-დევალვაციისა. ამ მხრივაც, ქართველები, დიდად დავზარალდით და კიდევ უფრო გავღარიბდით. ბანკებზე მიჯაჭვული კრედიტაღებული და მევახშეების კლანჭებში ჩაჭერილი ადამიანები არნახული განსაცდელსა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ, ბევრ საცხოვრებელდაკარგულებს ახლები მიემატნენ. თითქმის ყველაფერი გაძვირდა და ბაზრებს ახალი ძალით მოედო დაუნდობელი ცეცხლი... საბედნიეროდ, პური არ გაგვიძვირდა; სამაგიეროდ, გაზის გადასახადის გაძვირება უკვე "გვახარეთ" და მალე, ალბათ, დენის მოხმარებაზეც იგივეს გვაუწყებთ.

ქვეყნის გამძარცველ-დამნელებელი და ხალხის გამაუბედურებელი ნაციონალები ამ ცეცხლზე გამალებულები ასხამენ ნავთს და ხვალ-ზეგ, ეკონომიკის მთლიანად დაცემა-გაცამტვერებაზე ჩაგვახიან! თქვენი ეკონომიკური გუნდის წევრები და ექსპერტები კი, ამ "დროებით" მოვლენას – ლარის ასეთნაირად გაქაღალდებას, ბევრ სხვა ქვეყნებსა და სამეზობლოში გაცილებით უარესი ვითარების მოშველიებით ცდილობენ თავზარდაცემული მოსახლეობის **"დამშვიდებას"**. ახალი წლის ორ-სამ დღეში ლარის კურსმა ორიოდ თეთრით ჩამოიწია და... მერე, ძველებურად აღმა გაემართა!

ახლა კურსი შედარებით დასტაბილურებულია, მაგრამ მაინც არანორმალურად მაღალია!

და, ასეთი სავალალო მდგომარეობის დროს, ახალარჩეული პარლამენტის დეპუტატები ისევ ქუთაისში მიემგზავრებიან, საკაშვილის მდაბიური გემოვნებით მოწონებულ-ახუხულავებულ, ოთხასმილიონიან, ყველანაირად მოუწყობელ ნაგებობაში სხდომების ჩასატარებლად. ამას კი შეჭირვებული ხალხისა და პენსიონერებისაგან მაღალი გადასახადებისგან გადახდილი ფულით შემატებული ბიუჯეტის უზარმაზარი წილი ეწირება. ამ დროს, თბილისში, ნაციონალ სპიკერადყოფილის **"ბრძანებით"** გაცამტვერებული პარლამენტის რამდენიმე ათეულ მილიონდახარჯული ძველი სხდომის დარბაზი დიდი ხანია აღდგენილ-განახლებულია და უმოქმედოდაა. თანაც, კანონმდებლები ძირითადად დედაქალაქში არიან და ყველანაირ კომისიებსა თუ სხვა რამ შეკრებებს აქ აწყობენ და მართავენ.

საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, **"ქართული ოცნების" "აუცილებლად შესასრულებელ"** დაპირებებში, ხალხს, პარლამენტს თბილისში დაბრუნებასაც ჰპირდებოდით. თუმცა, ოთხი წლის განმავლობაში ეს არ გააკეთეთ. ხალხის ჯიბეებიდან ამოცლილი ასეულობით მილიონები ქარს გაატანეთ და წყალში გადაყარეთ!

ადამიანებს ეგონათ, პარლამენტის საქმიანობის ახალი ოთხწლიანი ციკლისათვის მაინც მოისურვებდით მდგომარეობის გამოსწორებას. გადაუდებლად გაითვალისწინებდით ქვეყნის უმძიმეს ეკონომიკურ ყოფას და **"ძვირადღირებულ"** პარლამენტს დედაქალაქში დააბრუნებდით. თუმცაღა, ამაოდ. ისევ გული დასწყვიტეთ და იმედი გაუცრუეთ, დაუფარავად მიანიშნეთ, რომ არანაირ ანგარიშგასაწევ ძალას არ წარმოადგენენ. მეტად ულამაზოდ პირგამეხებულმა, ტელევიზიით აუწყეთ, რომ ეს არ მოხდებოდა და თანაც, კიდევ დიდი ხნით!

ბატონო პრემიერო!

ნამდვილად არ ველოდით ქვეყნის მოსახლეობის მართალი ნების გაუთვალისწინებლობას, ასეთნაირ ანგარიშგაუწევლობას და იგნორირებას. პირდაპირ გეტყვით, რომ ამისი ასეთნაირად თქმის უფლება არნახულად გაჭირვებული ადამიანებისათვის არა და არ გქონდათ. უკიდურეს ზომამდე მისულებს, ძალა აღარ შესწევთ, უანგარიშოდ ფანტონ და აბნიონ... პურის ფული!

შესაძლებელია, ამით, უცხოელ **"კეთილმოსურნეებს"** უწევთ ანგარიშს და მათ **"რჩევა"**-მოთხოვნებს ითვალისწინებთ, საქმისათვის **"საჭიროდ"** – პარლამენტის მაინც და მაინც ქუთაისში დასარჩენად. და, მაშინ, ალბათ, მის შესანახად დღემდე განუკითხავად დახარჯული ასეული მილიონები გახდება სადავო.

სწორედ ისე, თბილისის ცენტრში არსებული, პრეზიდენტის რეზიდენციისათვის შერჩეული შენობის გაფართოება-რესტავრაციაზე დახარჯული ათეულობით მილიონები. სამუშაოები კარგა ხანია დასრულდა და ყველანაირად აღჭურვილ-მოწყობილია, ავლაბრის ავადმოსაგონარ რეზიდენციაში დროებით შესახლებული პრეზიდენტის იქ დასაბრუნებლად. თუმცა, დუშეთის **"რანჩოს"** ბინადარი უშნოდ გაჭირვეულებული ბავშვივით, ავლაბრიდან ფეხს არ იცვლის და ოდნავადაც არ ფიქრობს ახალ სამყოფელში შესვლას. მეტად გასაკვირვად და უცნაურად გათამამებულ-გაყვიზინებულს, იოტისოდენადაც არ აფიქრებს და არ ადარდებს გამზადებულ-მოწყობილი უქმი ვრცელი რეზიდენციის შესანახად, ბიუჯეტიდან ყოველთვიურად დიდი თანხების დანაშაულებრივად ხარჯვა-გაფლანგვა.

ეტყობა, პრეზიდენტმა, ქვეყნის დამნელებელ-დამანგრეველ სააკაშვილს, ავლაბრის სასახლის ბოლომდე შენახვისა და საქართველოში **"დაბრუნება-გაპირველკაცობისთანავე"** ხელუხლებლად ჩაბარების პირობა აღუქვა. აბა, სხვანაირად მაშ რა ვიფიქროთ, ყველაფერი ამის შემყურე აღმქმელმა?

თქვენ კი, ბატონო პრემიერო! ამ საერთო საწუხარზე არაფერს ამბობთ და გაჩერებულხართ. კარგი იქნება, ახლა მაინც ამოქმედდეთ და ყველა წესისა და კანონის მოხმობით, ხელშეუხებლად თავდაგულებულ პრეზიდენტს, მისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში შესვლა და მოვალეობის იქ შესრულება აიძულოთ.

აი, თურმე, ბიუჯეტის მართლა რამდენი ფული იხარჯება დაუნანებლად და გაუფრთხილებლად. სამაგიეროდ, სოციალურად დაუცველ ბევრ უმწეო ადამიანს, სრულიად გამიზნულად და გაანგარიშებით მოუხსნეს ის მწირი დახმარება, რაღაცნაირად რომ ახერხებდნენ თავის გატანას.

"ლეიბი ვიყიდე და ვმალავ, რომ მაღალი ქულა არ დამიწერონ და "სოციალური" არ მომიხსნან", – უთხრა მრავალშვილიანმა დედამ მასთან საცხოვრებელში მისულ ჟურნალისტს.

სადამდე მიდიან ადამიანები? შესამოწმებლად მოულოდნელად თავზე დამდგომი აგენტისაგან მაღალი ქულების დაწერის შიშით გონებაწართმეულები, შეიძლება სულაც შიშვლები დახვდნენ **"დახმარების"** წასართმევად მოვარდნილ გულქვა და შეუბრალებელ აგენტებს. არადა, გულისამრევად პროვინციულ ორდღიან **"თბილისობანასა"** თუ მისნაირ რაღაც **"ზეიმ-ფესტივალების"** მოსაყობად უდიდესი თანხები იყრება.

განა უკეთესი არ იქნებოდა, იმ ულაზათო **"ზეიმ-სანახაობებზე"** ნაკლები ფინანსების დახარჯვით გამონთავისუფლებული ფული სოციალურად დაუცველებს მოხმარებოდათ? რასაკვირველია, აჯობებდა და მაშინ, ის მრავალშვილიანი დედა, გაჭირვებით ნაყიდ ლეიბს, სამარცხვინოდ, აღარ დამალავდა.

მარადჟამს უცხოეთში ნანახის, სასწრაფოდ ჩვენთან გადმომტანები, მთავარს არ ითვალისწინებენ – იქაურები, თავიანთი ქალაქების სახელობით დღეებსა თუ სხვა რამ ზეიმებს, საკმაოდ მოკრძალებითა და სადად, ფინანსების მომჭირნეობით ხარჯვით აღნიშნავენ.

სამაგიეროდ, ჩვენ, ქართველები ვართ უფრო სტუმართმოყვარენი და ხელგაშლილები... ამიტომ, იმ დახმარებაგაწეულმა სოციალურად დაუცველებმაც უეჭველად უნდა **"გაუგონ"** ხელისუფალთ; ნურაფერს უსაყვედურებენ მათს ამ მდგომარეობამდე მიმყვანთ.

თქვენც ასე ფიქრობთ, ბატონო პრემიერო?

ახალი წლის შემობრძანებას ადამიანეები პირად და საქვეყნო წარმატებულ საქმეთა კეთებას თანმოყოლილი უკეთესი ყოფის მოტანის დადგომით მოელიან. გულის გასახარი საკუთარი წილის მოლოდინში არიან ხოლმე, ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემადგენელი პენსიონერებიც. გაუგონარი დაზოგვა – ხელმოჭერით მოღლილი ადამიანები, ახალარჩეული პარლამენტისგან დანიშნული **"ახალი"** მთავრობისგან, პენსიად წოდებული, საარსებოდ საჭირო ფულადი საშუალების გაზრდას ელოდებიან.

ბატონო პრემიერო!

დარწმუნებული ვარ, პენსიონერებთან ერთად, მოსახლეობის დანარჩენი ნაწილისათვის წარმოუდგენლად მოულოდნელი და გამაოგნებელი იქნებოდა, ტელევიზორიდან თქვენი ფოლადგარეული ხმით და დაჯერებულად წარმოთქმული: **"წელს პენსია არ გაიზრდება"**-ს მოსმენა. პირდაპირ გეტყვით, რომ ეს იყო პირადად თქვენგან და მთავრობისგან გადადგმული მეტად წამგებიანი ნაბიჯი. იმასაც მოგახსენებთ, რომ უმწეო და ხელმოკლე ადამიანების ასე დაუნანებლად გაწირვის უფლება ნამდვილად არა და არ გქონდათ! ყველა არასწორი გადაწყვეტილების მიღება და ამგვარი ნაბიჯის გადადგმა რომ მხოლოდ ზიანის და მარცხის მომტანია, ვფიქრობ, მშვენივრად იცით.

ისევ პირდაპირ და ჯიქურად გეტყვით, რომ მეტად არასწორი და წამგებიანი, საზოგადოებისათვის იმედგაცრუების და ნდობის დაკარგვის მომტანი ნაბიჯი, ხელისუფლებაში მოსულმა **"ქართულმა ოცნებამ"** მალევე გადადგა. საკაშვილის ჯოჯოხეთურ-სისხლიან რეჟიმს თავდაღწეულ ადამიანებს, მაშინ შეპირებული დაპირებებიდან ერთი უმთავრესის – სამართლიანობის აღდგენის შესრულებაზე თქვენმა ხელისუფლებამ უარი უთხრა.

მეტად გაუმართლებლად და დასაძრახად დაყაბულდით ისევ და ისევ ოკეანისგაღმელი **"მეგობარი მფარველებისგან"** გამიზნულად თავს მოხვეული, ზიანის მომტანი ტერმინოლოგიით, ე.წ. კოჰაბიტაციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას. ჰოდა, შედეგიც სავალალო და ზარალიან-საზიანო, მალევე მიიღეთ – უმძიმესი და ურიცხვი დანაშაულების ჩამდენ ნაციონალ ჯალათებს ვერაფერი დააკელით და თითიც ვერ დააკარეთ. ნულოვანი ტოლერანტობის გამომცხადებელ მათს სისხლისმსმელ ტირანს, დანაშაულებრივად შეუნდეთ და აპატიეთ ქუჩებში, ციხე-საპატიმროებში დახვრეტილ-დახოცილი; 2007 წლის 7 ნოემბრის, 2011 წლის 26 მაისისა და სხვა ბევრი აქციების მონაწილეების უღმერთო დარბევები, მათს მოყოლილი ადამიანების მსხვერპლი...

მართალი ადამიანების მიერ პროკურატურასა და სასამართლოში შეტანილი ათასობით განცხადება-საჩივარი დღემდე არ არის განხილული და მათ, ალბათ, არც არასდროს არავინ არ წაიკითხავს. ათიოდე დაზარალებულისთვის წართმეული ახალთახალი და ნაცებისაგან უმოწყალოდ ნახმარ-დანჯღრეული ავტომობილების **"დაბრუნება"** ნამდვილად არ ნიშნავს სამართლის აღდგენას.

კოჰაბიტაციით ხელფეხშეკრულებმა, მისი შემომთავაზებლების საამებლად, დღემდე არ შეცვალეთ საკაშვილის პარტიული **"სახელმწიფო"** დროშა, ჰიმნი და ღერბი. მოედნებსა და პარკებს დღესაც ვარდების სახელწოდებულად მოიხსენიებენ; რა უნდა თბილისში ბუშის ქუჩას? რატომ ძველ ადგილზე არ დააბრუნეთ დავით აღმაშენებლის ძეგლი? კიდევ რამდენ ხანს უნდა იდგეს თბილისის ცენტრში, უძრაობის სიმბოლო – ჯადო ორსაჭიანი ველოსიპედი? ანდა, კიდევ რამდენ ხანს უნდა დაამახინჯოს ქალაქის ძველი უბანი რიყეზე გადმოშხლართულმა რაღაც სურებმა თუ **"ტრუბებმა"**, მტკვარზე გადებულმა შუშის ხიდმა? კიდევ დიდხანს მოგვიწევს გმირთა მოედანზე აღმართული სიმახინჯის ყურება?..

მოკლედ, კოჰაბიტაცია ჯერაც მთელი სიმძლავრით მოქმედებს და გრძელდება და ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანს მისი **"სულგრძელობა"**. ისევ ძველებურად შეუზღუდავად გააგრძელებენ თავიანთს ანტისახელმწიფოებრივ-ძირგამომთხრელ უპატიებელ საქმიანობას ავადსახსენებელი ნაციონალური მოძრაობის კალთაგადაფარებული **საიას**, **"გამჭვირვალე და სამართლიანი საქართველოს"**, მათნაირი სხვა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები.

დიდად გაუგებარია, თუ რატომ არ იკვლევთ და არ იძიებთ, რომელი უცხო ქვეყნებიდან ფინანსდებიან ავ საქმეთა მკეთებლები? და, საერთოდ, რატომ აუკრძალავთ არსებობას ასეთ მავნესა და მტრულ **"ენჯეოებს"**?..

ეს ხომ კარგახანია უმტკივნეულოდ მოაგვარა რუსეთმა, პოლონეთმა, უნგრეთმა...

ბატონო პრემიერო!

ნაციონალური მოძრაობის **"განაყოფ"** წარმონაქმნ **"გირჩის"** თავკაცებმა მორიგი საწუხარის – მარიხუანას დეკრიმინალიზაციის საკითხის პარლამენტში განხილვა და შესაბამისი დასკვნა-დადგენილების გამოტანა მოითხოვეს. ეტყობა, ქვეყნის დამაქცევარი ეს არსებანი თავად არიან **"უწყინარი"** მცენარის **"ნაწარმის"** მომხმარებლები და ამიტომაც სწადიათ მისი თავისუფალ გაყიდვაში გაშვება. საამისო არგუმენტად უცხოეთის ქვეყნების მაგალითს იშველიებენ და თავსგასულები, ჯიუტად მოითხოვენ ჩვენგანაც იგივეს დაწესებას. ნებაზე მიშვებულმა **"გირჩელებმა"** ისიც კი გაბედეს, რომ ახალი წლის დადგომამდე, წინა წუთებში, თავიანთ ოფისში, ოთხმოც კოლოფში დათესეს ეს მცენარე.

საქართველოში მარიხუანას მოხმარება 13 წლამდე ბავშვებში 11 პროცენტს აღემატება.

მარიხუანა ისეთი ნარკოტიკული საშუალებაა, რომელიც ფსიქიკურ აშლილობასა და დამოკიდებულებას იწვევს.

"ვისაც მარიხუანას მოწევა უნდა, ისედაც ეწევა, არც მისი შოვნის პრობლემა აქვს" – აცხადებენ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელები. ჰოდა, რას მოგვიტანს კანონის ლიბერალიზაცია, არავისთვის უნდა იყოს გაუგებარი. ამის მიუხედავად, მთავრობა მაინც გაუგებრად ჩერდება და ხვალისთვის გადააქვს უსწრაფესად მოსაგვარებელ-გადასაწყვეტი საქმე.

ბატონო პრემიერო!

ასეთნაირად მინდოდა დამემთავრებინა ერთგვარად სასაყვედურო ეს ღია წერილი და გამახსენდა აუცილებლად სათქმელი: გენიალური რუსთაველის ამქვეყნად 850 წლის წინათ მოვლენის თარიღი, ქართველებმა სათანადოდ არ აღვნიშნეთ. ბელორუსებმა გვაჯობეს და მინსკში გამართეს მშვენიერი საღამო. პეტერბურგში კი ძეგლი დაუდგეს უდიდეს ქართველს.

სირცხვილი ჩვენ, მოვლენა ღმერთკაცის უმადურ ნაშიერთ!

...ძველი წლის მიწურულს, დაღლილ-დაქანცულ მოსახლეობას, თქვენ, მთავრობის თავკაცმა, მეტად დაჯერებულმა გვაუწყეთ – 2017 წელი მაგარი წელი იქნებაო, ბევრ რეფორმებს განვახორციელებთო.

ღმერთმა გისმინოთ და ხელი მოგიმართოთ!

გელა ჯიღაური,
საქართველოს მოქალაქე

ილორი

ამერიკაში კვირიკაშვილის მიღებით გულმოკლული საქართველო

საქართველოს პოლიტიკამ და მასზე მიტმასნილმა საზოგადოების ნაწილმა ძალზედ გაიხარეს ამერიკის საბიუჯეტო კანონში, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით დაფიქსირებული ჩანაწერით, რომლის მიხედვითაც იკრძალება ნებისმიერი ფინანსური დახმარების გაწევა ან სახელმწიფო ინვესტიცია იმ ქვეყნებისთვის, ვინც აღიარა ან აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას.

უდავოდ დიდი პოლიტიკური ნაბიჯია აშშ-ს მხრიდან, მისი ე.წ. სტრატეგიული პარტნიორის, საქართველოს დახმარების თვალსაზრისით. ეცნობი ამ გადაწყვეტილებას და უმალ ფიქრობ, ნუთუ ამდენი დროის გასვლა იყო საჭირო მსგავსი დოკუმენტის მისაღებად?!

2008 წლის აგვისტოს ომისა და აქედან გამომდინარე შედეგების – რუსეთის მიერ ორი ყოფილი ავტონომიის დამოუკიდებლობის აღიარება, შემდეგ საკმაო დრო გავიდა. ვითარებაც შეიცვალა, ცხადია გამდგარი ყოფილი ავტონომიების სასარგებლოდ. მაგრამ რომ იტყვიან – **„სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“** – ფილოსოფიიდან გამომდინარე დოკუმენტი საქართველოს სასარგებლოდ იმუშავებს, თუმცა დადებითთან ერთად მან უარყოფითიც შეიძლება გვარგუნოს, რამეთუ ეს კანონი წითელი ნაჭერივით (ისე, როგორც არენაზე გამოსულ ხარს) ააფორიაქებს რუსეთს.

ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდე, აღვნიშნავ ქართული პოლიტიკისა და საზოგადოების გულმოკლულ განცხადებებსაც – საქართველოს პრემიერ-მინისტრის კვირიკაშვილის მიღებას რომ ეხება თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში. ფოტო მაქვს მხედველობაში – პრეზიდენტი ტრამპი ზის, ხოლო პრემიერი კვირიკაშვილი მის გვერდით, მაგიდაზე დაყრდნობილი დგას.

დამაფიქრებელი პოზაა იმათთვის, ვისაც რახანია ეჭვი შეაქვს აშშ-ს-საქართველოს თანაბარი ურთიერთობის საკითხებში. არაფერს ვამბობ ჩვენს მიერ ამოჩემებულ **„სტრატეგიულ“** პარტნიორობაზე. არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ – ყოვლად გაუმართლებელია ეს ტერმინი და რატომ? უბრალო ჭეშმარიტების გამო. აშშ-ი, მსოფლიოს პირველი სახელმწიფო, პირველი ეკონომიკა (ჯერ-ჯერობით), პირველი ქვეყანა სამხედრო თვალსაზრისით ვერაფრით იქნება შეუმდგარი, ყველა პარამეტრით სუსტი ქვეყნის **„სტრატეგიული“** პარტნიორი. პარტნიორი – კი ბატონო, **„სტრატეგიული“** – არაფერ შუაშია. აქედან გამომდინარე უნდა გავაანალიზოთ ოვალურ კაბინეტში გადაღებული ფოტო.

ქართველობას ეწყინა, საქართველოს პრემიერის მიმართ ესოდენ ქედმაღლური დამოკიდებულება თეთრი სახლის მთავარი ბინადრის მხრიდან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩემი ნათქვამის ჭეშმარიტებას – **„პარტნიორი“** და არა **„სტრატეგიული პარტნიორი“**, თუმცა არც პარტნიორთან მიმართებაში უნდა ყოფილიყო ესოდენი ქედმაღლური დამოკიდებულება.

ზოგიერთი ჩვენი ექსპერტი თვლის, რომ საერთაშორისო და საკუთარი პროტოკოლის უზუსტესი მიმდევარი და დამცველი აშშ-ი, ამ შემთხვევაში პრეზიდენტი ტრამპი, სწორედ ისე მოიქცა, როგორც პრეზიდენტს შეეფერებოდა ანუ არ ადგა პრემიერ კვირიკაშვილის მიღებისას, ვინაიდან კვირიკაშვილი თურმე საყოველთაოდ არჩეული ქვეყნის მმართველი არ არის, ის კი (ტრამპი) არჩეულია.

იკითხავთ – სხვა შემთხვევაში როგორ იქცევა აშშ-ს პრეზიდენტი?

სხვა შემთხვევაში, კაბინეტში კი არა, შენობის შესასვლელში ხვდება იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, სხვა ქვეყნების პრემიერებს, ვინაიდან ის ქვეყნები, ქვეყნებია – სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით და არა ისეთი ბუტაფორია, როგორიც საქართველო.

თუ როგორია დღევანდელი საქართველო – ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი ორიოდ სიტყვით ამერიკელთა მიერ პროტოკოლის მოთხოვნების უზუსტეს დაცვაზე. საკუთარი გამოცდილებიდან (ქვეყნის პროტოკოლის სამსახურის უფროსად მუშაობა) გამომდინარე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ამ ქვეყნის, როგორც დიპლომატიური, ისე პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები შეგნებულად არღვევდნენ მასპინძელი ქვეყნის პროტოკოლს – იგვიანებდნენ დაგეგმილ და მათთან წინასწარ შეთანხმებულ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ შეხვედრებზე, ცვლიდნენ მათთან შეთანხმებულ პროგრამას, რითაც არაფრად აგდებდნენ მიმღები მხარის მიერ გაწეულ შრომას და ა.შ.

ერთ ასეთ მაგალითს მოგიყვანთ. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში თბილისში სტუმრად იმყოფებოდა ამერიკელი სენატორი ედვარდ კენედი, თანმხლებ პირებთან ერთად. წინასწარ შეთანხმებული პროგრამის მიხედვით მას უნდა დაეთვალიერებინა **„სვეტიცხოველი“**, რის შემდეგაც დაგეგმილი იყო, იქვე რესტორან **„მარანში“** – სადილი. მცხეთისკენ მიმავალმა, მან განაცხადა, რომ სვეტიცხოვლის მონახულების ნაცვლად ისურვებდა სადილს. ავტომანქანების კორტეჟი, პროგრამისდა მიხედვით სვეტიცხოველთან გაჩერდა. კენედიმ, მანქანიდან გადმოსვლისთანავე იკითხა – ეს, რესტორანიაო? და როცა გაიგო, რომ საყდარია, შებრუნდა და ავტომანქანაში ჩაჯდა – სასადილოდ წამიყვანეთო – თქვა.

სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება, მაგრამ სტატია ვერ დაიტევს. უდავოდ დაგებადებათ კითხვა, რით არის ყოველივე გამოწვეული? იმით, რასაც ქვეყნის ქვეყნობა ჰქვია. კენედის დროს საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი იყო. ტრამპის დროს – დამოუკიდებელია, მაგრამ ვინ-ვინ და აშშ-ს პრეზიდენტმა იცის ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ხარისხი.

განა მიღებული კანონი ხაზგასმით არ აღნიშნავს, რა დამოუკიდებლებიც ვართ?

საქართველომ მიაღწია იმ დამოუკიდებლობას, რასაც უფრო მონური მორჩილება ჰქვია არა მარტო ამერიკისადმი, არამედ ევროკავშირისადმი. როდესაც ევროკავშირის არაწევრი ქვეყანა საკუთარ მოსახლეობას ცხვირწინ უფრიალებს ევროკავშირის დროშას, რა დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი?

საბჭოთა კავშირის დროს ვაფრიალებდით საბჭოთა დროშას, საქართველოს დროშასთან ერთად, მაგრამ იმ დროს საქართველოს წვლილი საბჭოთა კავშირის მართვაში საგრძნობი იყო, ისე, როგორც დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკებისა. საკავშირო უმაღლეს საბჭოში საქართველო საკუთარი დეპუტაციით იყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე იყო და წლის განმავლობაში ერთხელ, ერთი თვის მანძილზე მოსკოვში, კრემლში უწევდა მუშაობა. ის, სსრკ-ს წარმომადგენლობით ფუნქციასაც ასრულებდა, ხელმძღვანელობდა რა საკავშირო უმაღლეს საბჭოს დელეგაციას საზღვარგარეთის ქვეყნებში.

იმჟამინდელ პოლიტიკურ სტრუქტურაში ჩვეულებრივი რამ იყო რესპუბლიკების პარტიული და სამეურნეო მუშაკების საკავშირო პარტიულ და სამეურნეო დარგებში, მაღალ თანამდებობებზე გადაყვანა. აღარაფერს ვიტყვი სამეურნეო და კულტურული მჭიდრო ურთიერთობების შესახებ, რომელსაც უდავოდ შეეფერება სიტყვა – **„სტრატეგიული“**.

დღევანდელ **„სტრატეგიულ“** მოკავშირესთან მსგავსი სიზმარშიც არ მოხდება. ჩვენდა გულის დასამშვიდებლად სხვებიც მეტნაკლებად ანალოგიურ ვითარებაში არიან. გაიხსენეთ ტრამპ-მერკელის ჟურნალისტების თანდასწრებით შეხვედრა. ტრამპმა გერმანიის კანცლერს ხელიც არ ჩამოართვა. ნეტავ, რომელი პროტოკოლით არის მსგავსი რამ მიღებული? არც ერთით, მაგრამ, რაც შეეხება პოლიტიკას – იქ სხვა **„პროტოკოლია“** – ისეთი, დამონებულს რომ შეეფერება.

გერმანია, აშშ-ს მიერ დათრგუნული ქვეყანაა უამრავი ამერიკული სამხედრო ბაზებით, აშშ-ს სპეცსამსახურების კონტროლს ქვეშ მყოფი. მერე რა, რომ გერმანია საკუთარი ეკონომიკით ევროკავშირის ლოკომოტივია? აშშ-სთვის ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ისე, როგორც ევროკავშირის არსებობას.

ტრამპმა თავის წინასაარჩევნო კამპანიის დროს არაერთხელ გამოხატა თავისი ნეგატიური განწყობა ევროკავშირის მიმართ. ანდა ავიღოთ მეორე მაგალითი – უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მიღება ოვალურ კაბინეტში. კლიმკინიც ისეთ პოზაში ვიხილეთ, როგორც კვირიკაშვილი. ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ოფიციანტმა, ბოსს ყავა მიუტანა. თუ ამას დავუმატებთ „მიღების“ ხანგრძლივობას – 6 წუთი, ღირდა კი ამ წუთებისთვის ტრამპის ფეხზე ადგომა? გარდა ამისა, თუ წარმატებული გერმანიის კანცლერს ხელს არ ართმევენ – გაჩანაგებული და ფაშისტურად ქცეული უკრაინის მინისტრი რომ საერთოდ შეუშვეს ოვალურ კაბინეტში – ესეც დიდი მიღწევაა.

საქართველოს **„პოლიტიკოსებსა“** და საზოგადოებას ხშირად ახასიათებთ რუსეთის პოლიტიკოსების, განსაკუთრებით პრეზიდენტის ლანძღვა. არადა, ნაცვლად ამისა, ხანდახან ყური რომ დაეგდოთ მისი განცხადებებისთვის, რაღაც აზრს გამოიტანდნენ ნათქვამიდან. პუტინი, აშშ-ს წინა ადმინისტრაციას და პრეზიდენტს აშკარად არ ეთანხმებოდა ამერიკისა და ამერიკელების გამორჩეულობასთან დაკავშირებით; ამერიკის ზენიტში აყვანას და დანარჩენი მსოფლიოსთვის მოწოდებას – ყოფილიყვნენ ამერიკის მსგავსნი.

ობამა, აშშ-ს გამორჩეულობაზე ისე ლაპარაკობდა, როგორც თავის დროზე ჰიტლერი გერმანიაზე. ამერიკელებს სკოლიდან უნერგავენ, რომ ისინი არიან მთელი მსოფლიოს მანათობელი ვარსკვლავები; რომ აშშ-ი მზვერვალზეა, ხოლო დანარჩენი მსოფლიო სადღაც ქვევით.

მხოლოდ ასეთი აზროვნების ქვეყანა მიიღებს კანონს, რომელზეც ზემოთ ვთქვით. ისე, კაცმა რომ თქვას, რა უფლება აქვს ქვეყანას, რაოდენ ძლიერიც არ უნდა იყოს ის – სხვა ქვეყანას აუკრძალოს, რომელიმე ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარება?

ამერიკა კი თავს უფლებას აძლევს მიიღოს ასეთი კანონი. გარდა ამისა, თუ დასჭირდება ოვალურ კაბინეტის კუთხეშიც დაგაყენოს, ხელიც არ ჩამოგართვას, საერთოდ არც შეგხედოს. ასეთთან „სტრატეგიული“ პარტნიორობა ძნელი რამ არის. საერთოდ ძნელია, როდესაც უაზროდ, სადღაც მიექანები და არაფერი იცი იმ „სადღაცის“ შესახებ. ჩვენც მივექანებით ევროკავშირისკენ, აშშ-სკენ და არაფერი ვიცით იქაური წესების შესახებ.

ასე იყო უნგრეთიც, რომელსაც დღეს ევროკავშირი სანქციების დაწესებით ემუქრება იმიტომ, რომ უნგრეთის პრემიერი ორბანი ჯიუტობს და არ იღებს ევროპაში შეჭრილ ლტოლვილებს. **„რას მიქვიაო“**, – ამბობს ბრიუსელი, – **„უნგრეთი ევროკავშირის წევრია და იმდენი ლტოლვილი უნდა მიიღოს, რამდენსაც ჩვენ ვეტყვითო“**.

ესეც თქვენი დამოუკიდებლობა. ორბანს მთელი უნგრეთი აუმხედრეს სოროსის უნივერსიტეტის დახურვის მცდელობისთვის. არადა, უნგრეთი ძირძველი ევროპაა, არა ისეთი, ჩვენ რომ **„ვბრუნდებით“**.

სრულიად განსხვავებული პროტოკოლი იყო ტრამპის მიერ ლავროვის მიღების დროს – ლავროვს თან, ამერიკაში რუსეთის ელჩი კისლიაკი და ფოტოგრაფი ახლდა. ამერიკელი ჟურნალისტები ოვალურ კაბინეტში არ მიიწვიეს.

კისლიაკი ის პიროვნებაა – ასე წერს მასზე ამერიკული მედია, რომელმაც გადაიბირა ტრამპის გუნდის წევრები საარჩევნო კამპანიის დროს. მიუხედავად ამისა, მსოფლიო მედიის ცენტრშია მოქცეული ტრამპის, ლავროვისა და კისლიაკის ფოტო, გაღიმებული სახეებით. თუ ამას დავუმატებთ ტრამპის განცხადებას, რომ რუსეთის წარმომადგენლებთან ლაპარაკი მეტად ნაყოფიერი იყო, ყველაფერი ნათელი იქნება.

რაც არ უნდა აგინოს ამერიკელმა პოლიტიკოსებმა რუსეთი და მისი პრეზიდენტი – რუსეთი ძლიერი ქვეყანაა, ანგარიშგასაწევი ძალაა, მისი უგულებელყოფა კარგს არაფერს მოუტანს აშშ-ს. რუსეთი არც გერმანია, არც საფრანგეთი ან ერთად აღებული ევროკავშირია. უდიდესი ტერიტორიით, შეიარაღებით, უმდიდრესი წიაღისეულით და ინტელექტუალური პოტენციალით ძლიერი სახელმწიფოა – დიდი მომავლით.

ამერიკის მიერ მიღებული კანონი ყოფილ ავტონომიებთან, ამჯერად დამოუკიდებელ ქვეყნებთან დაკავშირებით – ერთის შეხედვით კარგია ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ ვშიშობ მან არ გამოიწვიოს ისეთი ეიფორია, როგორსაც 2008 წლის ომამდე ჰქონდა ადგილი. მაშინაც დიდი მხარდაჭერა იყო სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ ამერიკელი პოლიტიკოსების, განსაკუთრებით პრეზიდენტობის კანდიდატის მაკკეინის მხრიდან. მის მოწინააღმდეგე ობამას არავინ იცნობდა, თანაც ყველა დარწმუნებული იყო, რომ ფერადკანიან ობამას პრეზიდენტად არ აირჩევდნენ.

მაკკეინს, არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე მიიჩნევდნენ მომავალ პრეზიდენტად. სწორედ ამ ვითარებამ და ბუშის ადმინისტრაციის ძალზე კარგმა განწყობამ რეგიონის დემოკრატიის „შუქურის“, სააკაშვილის მიმართ, გადააწყვეტინა მას ე.წ. გამოცდის მოწყობა რუსეთის ხელისუფლებისთვის ანუ პროვოკაციული გამოხდომით იმის დადგენა, რა პასუხი იქნებოდა რუსეთის მხრიდან, საქართველოს აგრესიის შემთხვევაში.

საქართველო გამოიყენეს როგორც პროვოკატორი, რომელმაც დაიწყო ომი და ნაცვლად ამერიკელთა დახმარებისა და მოსალოდნელი გამარჯვებისა, მან მწარე დამარცხება იგემა. დამარცხებული სააკაშვილი, ამერიკელთა დახმარებით, შესანიშნავად გრძნობს თავს, რაც არ ითქმის საქართველოზე.

„საოცნებო“ ხელისუფლებას ეყოფა გონიერება არ გადადგას სააკაშვილის მსგავსი ავანტიურისტული ნაბიჯი, მაგრამ სხვა მხრივ მისი ქცევა ნაკლებად ჩამოუვარდება წინამორბედი „ნაცების“ მოქმედებას. დღე ისე არ ჩაივლის, რაღაც ახალი ანტირუსული გამოხდომით არ „გაგვახაროს“ დღევანდელმა ხელისუფლებამ. ავიღოთ თუნდაც ლუჟკოვის საქართველოში ვიზიტიდან გამომდინარე განცხადებები, რამაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური რეაგირება გამოიწვია: **„როგორც ვხედავთ, ოფიციალური თბილისი განაგრძობს სისტემატურ პროვოკაციებს, რომელიც ძირს უთხრის რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების პროცესს...“**.

ვგონებ, სულაც არ იყო საჭირო **„ოცნების“** მხრიდან **„ნაცებზე“** აყოლა და ლუჟკოვის **„შავ სიაში“** შეყვანა, რასაც მოჰყვა ის, რაც მოჰყვა. დასავლეთზე აყოლილმა საქართველოს პოლიტიკამ ანგარიში უნდა გაუწიოს საკუთარ თავს, შესაძლებლობებს, მის როლს რეგიონში, სხვა ფაქტორებს და არ უნდა გადაიქცეს რომელიმე ქვეყნის, თუნდაც აშშ-ს, რუსეთის წინააღმდეგ გადადგმული პროვოკაციული ნაბიჯის ბრმა შემსრულებლად. ამის აშკარა საფრთხე არსებობს იმ პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რასაც ამერიკაში აქვს ადგილი.

დღეს უკვე კონგრესის დონეზე ჟღერს ხმა პრეზიდენტ ტრამპის იმპიჩმენტის თაობაზე. დამარცხებული დემოკრატები ყველაფერს კადრულობენ ბუზიდან სპილოს გადასაქცევად. ტრამპს ადანაშაულებენ რუსეთის გავლენის ქვეშ ყოფნისთვის არა მარტო საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, არამედ ოვალურ კაბინეტში ლავროვის მიღების დროს. თითქოს ამ მიღებაზე ტრამპმა აშშ-ს საიდუმლოება გააცნო ლავროვს. არადა, მიღებას აშშ-ს ადმინისტრაციის მინიმუმ 4 წარმომადგენელი ესწრებოდა, რომლებიც დაბეჯითებით აცხადებენ, რომ არავითარი საიდუმლოება ტრამპს არ გაუცია.

არის სხვა **„დანაშაულიც“**, რუსეთის მხრიდან აშშ-ს პრეზიდენტის არჩევნებში ჩარევა, ტრამპის სასარგებლოდ. თითქოს ტრამპმა უთხრა FBI-ს ხელმძღვანელს ტრამპის საარჩევნო გუნდის წევრის წინააღმდეგ გამოძიებაზე ხელი აეღო, რაც სამართალდამცავ ორგანოებზე გავლენის მოპოვების მცდელობას ნიშნავს.

მოუწყობენ თუ არა ტრამპს იმპიჩმენტს და როდის ექნება ამას ადგილი – ამერიკელი ანტიტრამპისტი პოლიტიკოსებისთვის მნიშვნელობა ნაკლებად აქვს. მათ სურთ ტრამპის მორჩილ ფინიად გადაქცევა, კუთხეში მიყენება. ასეთ დროს მან შეიძლება ისეთივე გადაწყვეტილება გამოიტანოს, რასაც ადგილი ჰქონდა სირიის დაბომბვის დროს. ხომ შეიძლება ტრამპმა საკუთარი შელახული იმიჯის გამოსასწორებლად დაბომბოს ჩრდილოეთ კორეა ან წააქეზოს საქართველოს ხელისუფლება ანტირუსული პროვოკაციისთვის?

ერთხელ უკვე ვიწვინეთ არასასიამოვნო წაქეზების ნაყოფი **„სტრატეგიული პარტნიორის“** მხრიდან. რა გარანტიაა, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ არ გაიმეოროს 2008 წლის მსგავსი სისულელე?!

ჯ. ჰამლეტიძე

10-15 წელიწადში შუა და ცენტრალურ აზიაში წყლის რესურსებისთვის შესაძლოა მასშტაბური ომი დაიწყოს

ტერიტორიები, ძალაუფლება, ოქრო – ამ სამი რამისთვის მრავალი საუკუნის განმავლობაში ადამიანი გაუთავებელ ომებს აწარმოებდა. ბოლო 100-150 წლის განმავლობაში ბრძოლის ველზე მთავარი მოთამაშე – ბუნებრივი რესურსები გახდა. ესენია რკინისა და სხვა ლითონების მადანი, ალმასები, ბუნებრივი აირი და ნავთობი – დედამიწის წიაღში ჩამალული ბუნებრივი სიმდიდრე, რომლის დასაპყრობადაც სახელმწიფოები სისხლისმღვრელ დაპირისპირებებს აჩაღებენ.

ენერგიის ალტერნატიული წყაროებისა და ელექტრომობილების მომრავლებასთან ერთად, თანდათანობით გაზისა და ნავთობის მნიშვნელობა მეორე პლანზე გადაიწევს. თუმცა არის ერთი ბუნებრივი რესურსი, რომლის ჩანაცვლება შეუძლებელია – ეს წყალია. თუ ვითარება არ შეიცვალა, არ არის გამორიცხული რომ უახლოესი 10-15 წელიწადში შუა და ცენტრალურ აზიაში ომი სწორედ წყლის დეფიციტმა გამოიწვიოს.

რეგიონში წყლის მარაგი მეტად არათანაბრადაა განაწილებული. ყირგიზეთი და ტაჯიკეთი წყლის საკმაოდ ვრცელ მარაგებს ფლობს. დიდი მდინარეები, რომლებიც წყლით შუა აზიას ამარაგებს, სათავეს სწორედ აქ იღებს. დაბლობში მდებარე უზბეკეთში, თურქმენეთსა და ყაზახეთში კი წყალი არასაკმარისი რაოდენობით აქვთ. მაგალითად, უზბეკეთში წყლის 77% იმპორტირებულია.

მეზობელ სახელმწიფოებს შორის ფარული დაპირისპირება წყლის გამო სსრკ-ს დაშლისთანავე წარმოიქმნა. მდინარეების წყალს ორი მიმართულებით – საირიგაციოდ (მიწის მორწყვისთვის) და ელექტროენერგიის გამომუშავებისთვის იყენებენ. მაგრამ ეს სფეროები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის – სოფლის მეურნეობა წყლის დიდ მარაგებს ზაფხულში საჭიროებს, მაშინ, როდესაც დენზე მოთხოვნა მკვეთრად ზამთარში იზრდება. შესაბამისად, კაშხლებით ზაფხულისთვის წყლის დაგროვების ნაცვლად, ჰიდროელექტროსადგურები ამ ბუნებრივ რესურსს დენის გამომუშავებისთვის მოიხმარენ.

1990-იან წლებში ყირგიზეთმა და ტაჯიკეთმა მძლავრი ჰესების მშენებლობა განაახლეს იმ მდინარეებზე, რომლებიც უზბეკეთისკენ მიედინება. წლების განმავლობაში წყლის რესურსების რეგულირების პრობლემა რეგიონში გადაუჭრელია. უზბეკეთისთვის წყალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მას ბამბის ბოჭკოების მინდვრების მორწყვისთვის მოიხმარენ. ამ ნედლეულზე უზბეკეთის საექსპორტო პოტენციალის ლომის წილი მოდის. საკუთარი ინტერესებისა და წყლის რესურსების დაცვისთვის, 2016 წელს უზბეკეთმა ყირგიზეთის საზღვართან არმიის მსხვილი შენაერთები გადაისროლა.

საფრთხეს რეგიონში ჩინეთიც ქმნის. მდინარე ირტიში, რომელიც ყაზახეთის წყლით მომარაგების მთავარი არტერიაა, სათავეს ჩინეთში მდებარე მყინვარებში იღებს.

ბოლო 5-6 წლის განმავლობაში ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონები სწრაფად ვითარდება. ამჟამად ჩინელებს ირტიშზე უკვე აქვთ აშენებული 13 წყალსაცავი და 59 მცირე ჰიდროელექტროსადგური. მზარდი სამრეწველო პოტენციალი წყლის დიდ რაოდენობას საჭიროებს. ექსპერტთა შეფასებით ირტიშში წყლის დონის კლება უკვე შეიმჩნევა. პროცესის გაგრძელების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ ყაზახეთში მდებარე ბალახაშის ტბამ დაშრობა დაიწყოს და რეგიონი სასმელი წყლის გარეშე დატოვოს.

საზღვარზე არსებული არალის ზღვა, რომელიც სიდიდით მსოფლიოში მეოთხე ტბა იყო, დღეს ფაქტობრივად, მთლიანად დამშრალია. 1930-იან წლებში შუა აზიაში სარწყავი არხების მშენებლობა დაიწყეს. 1960-იანი წლებიდან მოყოლებული ამ პროცესმა მასიური ხასიათი მიიღო. ადამიანი იმაზე მეტ წყალს მოიხმარდა არალიდან, ვიდრე იქ ჩამდინარე მდინარეებს **"ჩაჰქონდა"**. ბამბის ბოჭკოების უზარმაზარ მინდვრებს ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტი წყალი სჭირდებოდა. ღია სარწყავი არხები და კალაპოტები ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან და წყალი, რომელიც რეგიონში მთავარ სიმდიდრეს წარმოადგენდა, ტყუილად იღვრებოდა. 1970 წლისთვის არალის ზღვაში წყლის შემცირების სიჩქარემ წელიწადში 80 სმ-ს მიაღწია. 2003 წელს წყლის მოცულობამ პირველადი რაოდენობის მხოლოდ 10% შეადგინა. არალის დაშრობამ რეგიონში ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვია. ოდესღაც წყლით დაფარული ვრცელი ტერიტორიები უდაბნოდ გადაიქცა. მოჭარბებულმა მარილიანობამ კი ზღვაში თევზი დახოცა.

თუ უახლოეს მომავალში შუა აზიის სახელმწიფოები წყლის რესურსების მოხმარების თაობაზე ვერ შეთანხმდებიან, რეგიონში მდებარე ბალხაშის ტბა არალის ზღვის ბედს გაიზიარებს.

ნუკრი მგელაძე

ილია ვეკუას მიმართვა ახალგაზრდებს...

დიდი ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, ნოვოსიბირსკის მათემატიკური სკოლის დამაარსებლის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, მთაწმინდის ბინადრის, აკადემიკოს ილია ვეკუას მიმართვა ახლგაზრდობისადმი:

„ცხოვრების ის მანძილი, რომელიც მე გავიარე, საკმაოდ დიდია. ეს ნებას მაძლევს, ახალგაზრდობას გავუზიარო დაკვირვების საფუძველზე საკუთარი გამოტანილი ზოგიერთი მოსაზრება.

ცხადია, ვგულისხმობ მეცნიერებას დაწაფებულ ახალგაზრდობას.

გვეკითხებიან ხოლმე, რა არის საჭირო მეცნიერული მუშაობის წარმატების უზრუნველსაყოფადო. ერთი შეხედვით, საპუხი სავსებით ნათელია: ესაა სათანადო ბუნებრივი მონაცემები, მოწოდება და მუშაობის უნარი. თუ კაცს თანდაყოლილი ნიჭი აქვს და შრომისმოყვარეა, ყოველთვის მიაღწევს წარმატებას ხელსაყრელი პირობების გამოყენებით. მაგრამ ნიჭიერება და ღრმა აზროვნების უნარი სახეზე არავის აწერია, არც მათი გამოვლინებაა ადვილი, რადგან ძალიან ღრმადაა ჩამარხული ადამიანში. დიდი დრო და დაკვირვება სჭირდება მის გამოაშკარავებას. ჩვენ ხშირად ვუშვებთ შეცდომას, როცა ახალგაზრდის ნიჭიერების შეფასებისას ვემყარებთ მის ისეთ თვისებებს, რაც აშკარად ჩანს და იოლად ვლინდება. ზოგიერთი, როგორც სწავლაში, ისე ცხოვრებაში ბრწყინვალე მაჩვენებლებს ავლენს, რაც ჩვენ გვხიბლავს და მისთვის ყველა კარი იოლად იხსნება; მაგრამ დროთა განმავლობაში, სამწუხაროდ, ხშირად ის, რაც ბრწყინავდა – ოქრო არ გამოდგება ხოლმე. ამიტომ ნიჭიერი და უნარიანი ახალგაზრდების დაწინაურებისას დიდი სიფრთხილე და დაკვირვება გვმართებს. მთავარია სამი რამ: ნიჭი, მუშაობის უნარი და შერჩეული დარგისადმი სიყვარული. ჩვენი სასიქადულო მეცნიერი, აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი თვლიდა, რომ ამ სამი ნიშნიდან მესამე – საგნისადმი სიყვარული – გადამწყვეტია მეცნიერებაში წარმატების მისაღწევად. მეც, რაც მეტი დრო გადის, მით მეტად ვრწმუნდები, რომ ეს ნამდვილად ასეა.

ადამიანს ცხოვრების გზაზე თითქმის ყოველ წამს მრავალი ცდუნება ელოდება. კერძოდ: ესაა სურვილი, ერთი შეხედვით, სავსებით ბუნებრივი, ცხოვრების პირობების კეთილმიწყობისა – ჰქონდეს ხეირიანი ბინა, კარგი ხელფასი, მანქანა, თანამდებობა და მრავალი სხვა.

მეცნიერებაში წარმატებებს მიაღწევს მხოლოდ ის, ვისაც უსაზღვროდ უყვარს თავისი დარგი, ვინც ყველაფერზე მაღლა დააყენებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და შემოქმედების სფეროში წარმატების მოპოვებას დაუქვემდებარებს ყველა სხვა ინტერესს. ვინც ასე მოიქცევა და წარმატებებსაც მიაღწევს, მისთვის ცხოვრების სხვა მხარეები თანდათანობით მოგვარდება და გაცილებით უკეთ, ვიდრე შესაძლებელია მას ახალგაზრრდობის დროს ესახებოდა, ოღონდ ამისათვის საჭიროა დრო და მოთმონების დიდი უნარის გამომუშავება, კერძოდ, სულის მღრღნელი შურიანობის დაძლევა...

ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ ასეთი, არსებითად ტრივიალური აზრის გამოთქმას ამდენი ხანი მოვანდომე, მაგრამ ამაზე ყურადღება იმიტომ გავამახვილე, რომ მაშინ, როცა ამ წერილის წერა დავიწყე, თვალწინ წარმომიდგა ზოგი ბრწყინვალე ნიჭის მქონე პიროვნების ბედი, რომელთაც მეცნიერებას ხელი მოჰკიდეს და წარმატებითაც შეეძლოთ გაეგრძელებინათ მუშაობა, მაგრამ პარალელურად, დიდ დროსა და ენერგიას უთმობდნენ ცხოვრების კეთილმოწყობას, როგორც იტყვიან, არაფერს იკლებდნენ, ხოლო მეცნიერებისათვის ზრუნვა მეორეხარისხოვან საქმედ აქციეს. ცხადია, მათ მეცნიერებაში სასურველ შედეგებს ვერ მიაღწიეს და ვშიშობ, რომ ამის ნამდვილი მიზეზი, შესაძლებელია, ბოლომდე არც ჰქონდათ გაცნობიერებული. არ არის გამორიცხული, რომ ზოგი მათგანი ხელის მოცარვას გარეშე, ე.წ. ობიექტური მიზეზებით ხსნიდა.

მეცნიერული შემოქმედების პროცესი ჭეშმარიტ მეცნიერთათვის დრამატული განცდებითაა აღსავსე. შეიძლება მისი ბევრი წამოწყება უშედეგო გამოდგეს, რასაც, ცხადია, მწვავედ განიცდის, მაგრამ ამან მუდმივ საგონებელში არ უნდა ჩააგდოს იგი. ნამდვილ მეცნიერს ყოველთვის აქვს პრობლემისადმი მიდგომის სათადარიგო გზები, ან ახალ, მონათესავე პრობლემაზე გადასვლის საშუალება. მეცნიერული შემოქმედებისათვის ოპტიმიზმი წარმატების აუცილებელი (მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის არ არის საკმარისი) იარაღია; ამიტომ მეცნიერი ოპტიმისტი უნდა იყოს, არც ერთ ვითარებაში წარმატების რწმენა არ უნდა დაკარგოს.

მინდა ვუსურვო ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდა თაობას, ვისაც მეცნიერული შემოქმედებისათვის სათანადო მონაცემები აქვს, დღენიადაგ თავის საყვარელ საგანზე იფიქროს და დაუღალავად იმუშაოს, იქონიოს დიდი მონდომება და შრომისუნარიანობა. მხოლოდ ამ პირობებშია წარმატება მოსალოდნელი, ამის გარეშე კი მარცხი გარდაუვალია.

კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა.

საუკეთესო სურვილებით,

თქვენი ᲝᲚᲘᲐ ᲕᲔᲙᲣᲐ".

05.05.1977

თბილისი

(მადლობა პროფესორ ქალბატონ მარინა ვეკუას ამ პუბლიკაციისთვის)

როგორ ააშენა ბერიამ თამარ მეფის ხიდი



“ვერის სასაფლაოს ბოლოში, დაახლოებით აბრეშუმის ქარხნის ტერიტორიაზე იდგა ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანა. მის ახლოს 1846 წელს ნიკოლოზ პირველის გადარჩენის აღსანიშნავად დიდი თუჯის ჯვარი აღმართეს”

XX საუკუნის დასაწყისში თბილისის ერთიანი გეგმა არ არსებობდა. ქალაქის სარეკონსტრუქციო და კეთილმოწყობითი სამუშაოები 20-იანი წლებიდან დაიწყო. არაერთი მასშტაბური პროექტი განხორციელდა. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა საჭიროება, აეგოთ ხიდი. დღეს ის თამარ მეფის ხიდის სახელით არის ცნობილი. “თბილისის ჰამქრის” ერთ-ერთი დამაარსებელი გოგა ქართველიშვილი გვიამბობს:

– იმ ადგილას, სადაც ახლა თამარ მეფის ხიდია, ადრე ხევი იყო და მტკვარი თავის ნებაზე მიედინებოდა. მერე მოინდომეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ვაკესაბურთალოსთან დამაკავშირებელი ხიდის გაკეთება. არქიტექტორი გახლდათ ნიკოლაი სევეროვი. 1931 წელს დაწყებული მშენებლობა ოთხი წელი გაგრძელდა. 1989 წელს ჩელუსკინელების ხიდს თამარ მეფის სახელი დაერქვა.

როგორც ვიცი, მისი მშენებლობა ლავრენტი ბერიას სახელს უკავშირდება.

– ბერია იყო მისი აგების თაოსანიც და შემსრულებელიც. პარალელურად მიმდინარეობდა გმირთა მოედნის მოწყობაც – ტერიტორიაზე არსებული კლდოვანი ბორცვი გაიჭრა, მერე კლდის ერთ წვერზე ცირკის შენობა აიგო (1940 წ.), მეორე მხარეს კი – აკადემქალაქი.

ვარაზისხევი 50-იანების ბოლოს ამოივსო. ასე რომ, ახალ მოედანს ერთი მხრიდან ზოოპარკი ეკრა (1927 წ.), მეორე მხრიდან კი – ოლღას ქუჩა ჩამოდიოდა და მოედანთან სრულდებოდა. ეს ქუჩა ესაზღვრებოდა ვერის სასაფლაოს, რომელიც დღევანდელი ვერის ბაღის ტერიტორიიდან დაახლოებით ლაგუნა ვერემდე ვრცელდებოდა. 1933 წელს მიღებული ქალაქის გენერალური გეგმის თანახმად, ბერიამ სასაფლაოს აღება მოინდომა. გამოაცხადა, მიცვალებულები გადაესვენებინათ. ვისაც ჭირისუფალი აღმოაჩნდა, გადაასვენეს, ვისაც არა – ის საფლავები გაუქმდა და ქვები გმირთა მოედნის კედლების მოსაპერანგებლად გამოიყენეს.

ვერის სასაფლაოს ბოლოში, დაახლ ებით აბრეშუმის ქარხნის ტერიტორიაზე იდგა ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანა. მის ახლოს 1846 წელს ნიკოლოზ პირველის გადარჩენის აღსანიშნავად დიდი თუჯის ჯვარი აღმართეს. 1837 წელს, ტფილისიდან ვლადიკავკაზში მიმავალ იმპერატორს ეტლი ამ მიდამოებში გადაჯბრუნებია და სასწაულებრივად გადარჩენილა. ვერის ჯვარიც ბერიას ბრძანებით აიღეს.

ხიდის მეორე მხარეს კუკიის ობსერვატორია იყო. ახლაც დგას ეს მრგვალი, გუმბათიანი შენობა. დანარჩენი ტერიტორია კი ბარაკებით იყო მოფენილი.

ჩელუსკინელების ხიდის ქვემოთ, მტკვრის ორივე მხარეს, სამანქანო გზა გაიჭრა და მარჯვენა და მარცხენა სანაპიროები მოეწყო. ეს სამუშაო მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე დასრულდა. ბერია რა ტირანიც იყო, ყველამ იცის, მაგრამ ქალაქის განაშენიანების საკითხებში რომ ბევრ მერზე უკეთ ერკვეოდა – ნათელია.

ბერიას თაოსნობით დედაქალაქში გაიყვანეს კანალიზაცია, ნატახტარ-ბულაჩაურიდან წყლით მომარაგების პროექტის განხორციელება ადრე კი დაიწყო, მაგრამ ბერიას ხელმძღვანელობით დასრულდა. მარტო მეტრო რად ღირს. ამ პატარა ქალაქში მოინდომეს მეტროს გაყვანა – თბილისის მოსახლეობა იმ დროისთვის 100 ათასამდე იყო, მეტროს კი, როგორც ამბობდნენ, მილიონიან ქალაქში უნდა ემოქმედა, ამიტომ გამოცხადდა: რაიონებიდან ვინც ჩამოვა და თბილისში ისწავლის, საცხოვრებლად 1-ოთახიანი ბინა გადაეცემაო. ქალაქი მილიონამდე 60-იან წლებში შეივსო და მეტროც მალევე გაიხსნა. მეტროს მშენებლობა რომ დაიწყო, ხმა გაავრცელეს, დაბომბვის საწინააღმდეგო თავშესაფრებს აგებენო. ომი ახალი დასრულებული იყო და ასეთ სიცრუეს უფრო დაიჯერებდნენ. შემდეგში არაერთხელ გადაიდო მშენებლობა და საბოლოოდ ვასილ მჟავანაძის მმართველობისას გაიხსნა...

ამ ფოტოებით ნათელი ხდება, რომ კლდოვანი ნაწილის გაჭრა წყლის ჭავლის გამოყენებით ხდებოდა და მშენებლობაში უამრავი ადამიანი მონაწილეობდა... ჩელუსკინელების ხიდის ანალოგი ერევანშიც დგას, რომელიც 1945 წელს აუგიათ.

პირველი საბჭოთა გმირები

ჩრდილოეთის მკვლევრის და ზღვაოსნის სემიონ ჩელუსკინის პატივსაცემად “ჩელუსკინი” ერქვა არქტიკის ყინულებში 1934 წლის 13 თებერვალს გაუჩინარებულ ხომალდს. 2 თვე ეძებდნენ მის მგზავრებს – უკლებლივ ყველა, 104-ვე მგზავრი მფრინავებმა სამშვიდობოს გამოიყვანეს. მათი გადამრჩენელი მფრინავები პირველი საბჭოთა გმირები გახდნენ. ჩელუსკინელების ევაკუაციის უმძიმეს ოპერაციას მსოფლიო ადევნებდა თვალს. მაშინ პრესაში ბერნარდ შოუს სიტყვებიც გავრცელდა, – ეს რა ქვეყანა ხართ, პოლარული ტრაგედია ნაციონალურ დღესასწაულად აქციეთო!”

ეკა სალაღაია

და წარვსდგე ჩემს მეუფესთან, ხელდანთებული ცვილითა

გახსენება

ძალიან სწრაფად გარბის დრო – უკვე ერთი წელი გალეულა მას შემდეგ, რაც 93 წლის ასაკში გარდაიცვალა ჩემი უახლოესი ნათესავი სევარიონ ბარბაქაძე, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი – სულისმიერი და ტრადიციული საქართველოს ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი, სოფლის სინდისად აღიარებული ღვაწლმოსილი პიროვნება, ადამიანი, რომელიც ლამის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შრომობდა და დოვლათს ქმნიდა.

ბუნებაში გადადნა და გარდაიქმნა ომგადატანილი და დამაშვრალი ბერიკაცი...

სევარიონ ბარბაქაძე იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც მოუკვდა არა მხოლოდ ოჯახს, არამედ სოფელს, ქვეყანას, საზოგადოებას, რადგან იგი ერისა და ბერის მორალური და ზნეობრივი ორიენტირი გახლდათ.

ძნელია, იმ გაძაღლებულ ყოფაში, რაც ჩვენმა ქვეყანამ და საზოგადოებამ უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში გადაიტანა, ლამის 100 წელს მიაღწიო ისე, რომ სოფელში მომდურავი არავინ გყავდეს.

არავინ დარჩენია მომდურავი კახეთის მხარეში ილია ჭავჭავაძის მიერ, საქართველოს საზღვრების განსამტკიცებლად, მეოცე საუკუნის დასაწყისში დასახლებულ იმერელთა შთამომავალს, იმიტომ, რომ უხმაურო, მშრომელი კაცი იყო, გასაჭირში ჩავარდნილის დაუზარელი დამხმარე, უპრეტენზიო სტუმარი და გულღია მასპინძელი. მისი ხასიათი ვერაფერმა დაამძიმა – დიდი სამამულო ომიდან სხეულით ჩამოტანილმა ნახევარკილოგრამიანმა შრაპნელის ნამსხვრევმაც კი, გერმანული ფაშიზმის აღორძინების ავბედით სიმბოლოდ რომ ჩაიტანა საფლავში!

სტკიოდა ომის დროიდან შემორჩენილი ნაიარევები, მაგრამ უფრო დიდი ტკივილი 4 წლის შვილის ტრაგიკულმა აღსასრულმა მიაყენა და ეს ტკივილი გაუსაძლისი გაუხადა 33 წლის შვილისშვილის ასევე ტრაგიკულად დაღუპვამ. მის პირად ტრაგედიას კი წერტილი დაუსვა მეუღლის – შესანიშნავი დედისა და ბანოვანის მარიამ ბიწაძის გარდაცვალებამ, რომელთან ერთადაც ათწლეულების განმავლობაში ქმნიდა ჭეშმარიტ ქართულ ოჯახს, შრომისადმი სიყვარულს უნერგავდა შვილისშვილებს და მათ შვილებსაც. სევარიონი ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანი იყო, რომელიც მოესწრო შვილისშვილის შვილისშვილს...

უბედნიერესი კაცი იქნებოდა, რომ არა ტრაგიკული წიაღსვლები, მაგრამ ადამიანი ხომ სიხარულისა და მწუხარებისთვისაა მოვლენილი უზენაესის მიერ!

სასწაულად უხაროდა, როცა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაულს – 9 მაისს მივულოცავდი ხოლმე გაზეთის მეშვეობით. სტალინი უდიდეს სახელმწიფო მოღვაწედ მიაჩნდა და ხშირად შემომჩივლებდა ხოლმე – ნეტა იმ ხალხის ტვინში ჩამახედა, სტალინის სახელს რომ ლაფს ასხამენ. თვითონ მაინც თუ აქვთ გაკეთებული იმის მემილიონედი საქმე, რაც სტალინმა გააკეთაო!

ყოველი 9 მაისი მისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო, სუფრას გაშლიდა და სვდიანად იგონებდა თანამებრძოლებს, რომლებიც ცოცხლები ვეღარ დაბრუნდნენ. ერთხელ შემომჩივლა – თანდათან გვაკლდება ვეტერანები, გასულ წელს მთელ ლაგოდეხში მხოლოდ სამმა კაცმა მოვიყარეთ თავიო.

თავადაც დააკლდა...

არც ის მიაჩნდა სამართლიანად, რომ დიდ სამამულო ომს, რომელმაც სამასი ათასამდე ქართველი საჯიშე ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა, უგვანო ლიბერალები სხვის ომად თვლიდნენ.

ახალი თაობის სხვა მრავალი სიტყვა და საქმე არ მოსწონდა, მაგრამ საჯაროდ მაინც არავის განიკითხავდა – ყველა საზრიან არსებას თავისი მოსაწონი მისწრაფება აქვს და მხოლოდ ღმერთია ადამიანების მსაჯულიო – იტყოდა ხოლმე გულისტკივილით.

მე მეამაყება, რომ სევარიონ ბარბაქაძე ჩემი ნათესავი იყო!

მსუბუქი იყოს მის ნაჯაფარ მკერდზე დაყრილი მიწა!

ერისა და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ სევარიონ ბარბაქაძეს სრული მორალური უფლება ჰქონდა უფლის სამსჯავროზე მისულიყო დიდი ვაჟას სიტყვებით: “და წარვსდგე ჩემს მეუფესთან, ხელდანთებული ცვილითა”...

მარადიულ ნათელში იყოს ამ სანიმუშო ადამიანის დამაშვრალი სული!

ᲧᲕᲐᲠᲧᲕᲐᲠᲔ ᲗᲣᲗᲐᲑᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲙᲕᲓᲐᲠᲐ!

“თაღლითი” უცხოთა სიტყვაა, ქართულად ამგვარს **“მორთული”** ჰქვიანო – გვამცნობს სულხან საბა ორბელიანი თავის უკვდავ **“ქართულ ლექსიკონში”**.

გინდა **“მორთული”** დაარქვი და გინდა **“მართული”,** თაღლითი თაღლითია და ზოგიერთმა ვაი-ქართველმა, თავისი საქცელითა და ცხოვრების წესით იმდენად შეგვაჩვია ამ სიტყვას, რომ ვერ კი ვამჩნევთ, რომ იგი უცხოთა ლექსიკონიდაან გადმოტანილი.

რაც შეეხება კონკრეტულად “**თაღლითსა”** თუ **“მორთულს”**, თემას გავხსნით იმით, რომ კლასიკური მხატვრული ნაწარმოების ქვაკუთხედი მისი მთავარი გმირის **“უკვდავი”** მენტალიტეტი გახლავთ, შემოქმედის ამოცანა კი ამ სახის იმგვარად განმხოლოებაა, რომ მეტი დამაჯერებლობა შესძინოს ახალი დროის გმირს და დაგვაჯეროს მის რეალურად არსებობაში. ამიტომ, დღესაც ცოცხლობენ ჩვენს გვერდით დონ კიხოტები, დათა თუთაშხიები, მახარაშვილები, დარტანიანები, ფელიქს კრულები, კოლა ბრუნიონები, ტილ უილენშპიგელები, სააკაშვილები...

დიახ, ისინი უკვდავები არიან, რადგან წარსულში მართლაც არსებობდნენ თუ მათი ზუსტი ასლი არა, მათ მაქსიმალურად მიმსგავსებული პიროვნებები მაინც! და, სამწუხაროდ, ასევე არსებობს **ᲧᲕᲐᲠᲧᲕᲐᲠᲔ ᲗᲣᲗᲐᲑᲔᲠᲘ,** რომელიც ხალხის მასიდან ამოიზარდა და რომლის სახელიც უკვდავჰყო შესანიშნავმა ქართველმა მწერალმა აქვსენტი ცაგარელმა.

მიუხედავად მათი არც თუ მოსაწონი საქციელისა, აუდიტორია ამ გმირების **“უარყოფითი”** თვისებების მქონე ნაწილს მაინც დადებით პიროვნებებად აღიქვამს, რადგან ისინი გვაცინებენ, გვახალისებენ, ხშირად კი მწარედ ჩაგვაფიქრებენ ჩვენი ყოფის ამაოებაზე.

დიახ, სწორედ ასეთი ლიტერატურული გმირი გახლავთ ყვარყვარე თუთაბერი – ჩვეულებრივი პოლიტიკური ავანტიურისტი, თაღლითი (**“მორთული”**), მედროვე, ცრუპენტელა, ფულსა და ძალაუფლებას დახარბებული მოქეიფე და მექალთანე, მუდამ სხვების დატუსაღების, დაწიხვლისა და დამცირების მსურველი შარლატანი...

ამგვარი მმართველი უკვე გვყავდა სააკიანცის სახით, მაგრამ ეს დაშნაკი აშკარად ყვარყვარეს **“ბოროტი ვარიანტი”** გახლდათ, რომელიც ვამპირივით სვამდა უდანაშაულო ხალხის სისხლს. ჩვენ კი ამჯერად გვინდა გესაუბროთ **“კეთილ”** ყვარყვარეზე, რომელიც თავისი უსაქციელობისა და ქვემძრომობის გამო აშკარად გამაღიზიანებელია ნორმალური ადამიანისათვის, მაგრამ მაინც სასაცილო და თავშესაქცევი პერსონაა...

ალბათ მიგვიხვდი, ძვირფასო მკითხველო – ეს **“კეთილი ყვარყვარე”** საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გახლავთ!

როცა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა თხოვნის ტონით **“გვიბრძანა”** – აუცილებლად გიორგი მარგველაშვილი უნდა აირჩიოთ საქართველოს პრეზიდენტად, რადგან იგი კარგი წინამძღოლი იქნებაო, არცერთ **“ნაცმოძულე”** ქართველს ხელი არ შეტოკებია, ისე შემოხაზა პრეზიდენტის საარჩევნო ბიულეტენში მარგველაშვილის გვარი. ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ამ ბუთხუზა, ერთის შეხედვით უწყინარი, ყაისნაღით ქსოვისა და ფსიქოლოგიური სენტენციების ოსტატის სახით სრულიად საქართველოს **“მოდელირებული”** ყვარყვარე თუთაბერი მოევლინებოდა. მოკლედ, არჩევნების საღამოს დაიძინა გიორგი მარგველაშვილმა და მეორე დილით გაიღვიძა პრეზიდენტად **“გადასულგუნებულმა”** ყვარყვარე თუთაბერმა!

თითქოს გუშინ იყო, ივანიშვილი საბელზე გამობმულ ხბოსავით რომ დაატარებდა მარგველაშვილს და გვარწმუნებდა, რომ ამაზე კარგი პრეზიდენტი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებაო. ალბათ თავადაც სჯეროდა, თორემ ივანიშვილის გულწრფელობასა და მამულისადმი სიყვარულში ნორმალური ადამიანი ეჭვს არასოდეს შეიტანს. არავის ეგონა, რომ ეს შეუმცდარი ადამიანი ოდესმე შეცდებოდა, რასაც ახლაც ვერ პატიობს საკუთარ თავს. მაგრამ ბატონ ბიძინას მხედველობიდან გამორჩა ის ამბავი, რომ მარგველაშვილი ფსიქოლოგიის დოქტორია და კარგად ერკვევა წესიერი ადამიანის სულიერ ლაბირინთებში. თაღლითსა და ცრუპენტელას კი მეტი არაფერი უნდოდა, როგორც კი თავისი გაინაღდა, საკუთარ გუნდს დაუპირისპირდა და ნაციონალებისაკენ მორჩილად მიმართა დინგი.

ფაქტები გნებავთ? აგერ, ბატონო:

თანაშემწედ დანიშნა პირწავარდნილი ნაციონალის მიშა მაჭავარიანის ძმა – ვანო მაჭავარიანი;

მრჩევლად აიყვანა ნაცების მიერ შექმნილი არასამთავრობოს – ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოუორიძე;

თამაშემწედ აიყვანა ვიღაც გორელი აბაშიშვილი, რომელსაც საკუთარი სახლი საკმაოდ ხელსაყრელ ფასად აქვს მიქირავებული ნაციონალებისათვის;

თვითნებურად დაიკავა სააკაშვილის **“რაიხსტაგად”** წოდებული რეზიდენცია, რომელსაც თავადვე ეძახდა **“ბოროტების ბუდეს”**...

კიდევ უამრავი ფაქტის მოხმობა შეიძლება!

ასე **“გვაჭამა”** ყველას ჩვენი დროის ყვარყვარემ, მაგრამ, არა, ნურას უკაცრავად – მარგველაშვილმა ივანიშვილი კი არა, სრულიად საქართველო მოატყუა, რადგან მას ხმა სწორედაც რომ ნაციონალების ჯიბრზე მისცეს და არა რაიმე პირადი დამსახურებისათვის! რაც შეეხება საკუთარი გუნდისათვის ზურგის შექცევას, როცა ერთმა ჟურნალისტმა მას ჰკითხა თუ რატომ გაუუცხოვდა მარგველაშვილი **“ოცნებას”**, ამან პრეზიდენტი საშინლად გააცხარა: **“მე გავუუცხოვდი “ქართული ოცნების” ღირებულებებს? მე გავუუცხოვდი ჩემს წარსულს? საინტერესო კითხვაა. მე ვდისტანცირდი?”** – **იკითხა მარგველაშვილმა.**

კითხვაზე, მისი მისამართით ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიერ რომ კეთდებოდა გარკვეული განცხადებები, მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ კომენტირებას არ აპირებს იმაზე, ეს საუბარი სიმართლეა თუ ტყუილი. “ორ ადამიანს შორის ურთიერთობა, ორ ადამიანს შორის ურთიერთობად უნდა დარჩეს წესით, მაგრამ მე არ მგონია, რომ ვდისტანცირდი”, – განაცხადა მარგველაშვილმა.

ჭეშმარიტება კი სულ სხვაგვარია. ამ უდღეურმა **“წინდის მქსოველმა”** უმალ დაიჯერა, რომ საკუთარმა ავტორიტეტმა გაამარჯვებინა პრეზიდენტობისათვის გამართულ მარათონში და არა ბიძინას შეუვალმა მხარდაჭერამ. ამიტომაც მოინდომა, რომ ქვეყნის ერთპიროვნული მმართველის რანგში გაეგრძელებინა პრეზიდენტობა და საკუთარი პერსონა მთავრობასა და პრემიერ-მინისტრზე მაღლა დაეყენებინა. ამიტომაც დაუპირისპირდა საკუთარ გუნდს და რევანშს მოწყურებულმა ნაცებმაც წამსვე აუბეს მხარი – **“პირველ ლედიდ”** გამოაცხადეს მაკა ჩიჩუა, რომელიც ხასად ეჯდა უბადრუკ მარგველას (მე, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, კატეგორიულად არ ვცნობ **“ბოიფრენდისა”** და **“გერლფრენდის”** ინსტიტუტს. მე ვადიარებ მხოლოდ ჯვრისწერის საიდუმლოს, ქორწინებისგარეშე კავშირს კი პროსტიტუციად მივიჩნევ) და რომ არა პრაგმატული აუცილებლობა, ამ ყვარყვარეს ხასად დაამთავრებდა თავის **“ოჯახურ”** ყოფას!

მაგრამ, ამჯერადაც ჩაუვარდა კოვზი ნაცარში ყვარყვარეს!

და როცა მიხვდა, რომ გაუგეს ვერაგული ჩანაფიქრი, წამსვე დაპირისპირებულ საკუთარ გუნდთან მისი პოზიციების მართებულობაზე დაიწყო დავდავი: **“მე გავუუცხოვდი “ქართული ოცნების” ღირებულებებს? მე გავუუცხოვდი ჩემს წარსულს? რომელზე შეიძლება იყოს საუბარი. მე გავუუცხოვდი ჩემს წარსულთან, გუშინდელ პროცესთან მიმართებაში? მე გავუუცხოვდი ჩემს წარსულთან, როდესაც ვეტო დავადე მოსმენების კანონს, რომ დავრბოდით მთელი ქალაქი ქუჩაში, ჩვენ გვისმენენო. მე გავუუცხოვდი ჩემს ამომრჩეველს, რომელსაც 10 წლის განმავლობაში ვეუბნებოდი, რომ ეს მიუღებელია. რა გავაკეთო დღეს, ვისი ერთგული დავრჩე – ჩემი სიტყვების თუ იმ დოკუმენტის, რომელიც ერთად შევქმენით საარჩევნო კამპანიის სახით. მე აქ ვხედავ ძალიან მარტივ სიტუაციას, მე არ წავსულვარ იმ პუნქტებიდან, რომელზეც ყველანი ვიყავით თანახმა. თუ ვინმეს ეს დისკომფორტს ანიჭებს და ძირითადად ამაზე საუბრობენ, რატომ აქტიურობს პრეზიდენტი, რატომ მოიწვია უშიშროების საბჭო, რატომ გააკეთა კომენტარი”,** – განაცხადა მარგველაშვილმა.

ამ კონტექსტში მან გაიხსენა **“ეროვნული ბანკის შესახებ”** კანონი, რომელსაც ვეტო დაადო. მისი თქმით, იგი კოალიციასთან ერთად ამტკიცებდა, რომ ბიზნესი უნდა იყოს შეუვალი.

ჭეშმარიტად – ენას ძვალი არა აქვს, მარგველაშვილს კი სამართალი!

“ჩემთვის როგორი კომფორტული იქნებოდა, როდესაც “ნაციონალური მოძრაობისთვის” მტერი ვარ და მტერი ვიყავი 2003 წლიდან და ეს არავისთვის უცხო არ იყო. მე ხომ არ ვიყავი დამალული მტერი, მე ვიყავი ღია. “ნაციონალური მოძრაობისთვის” მიუღებელი ვარ და ჩემ წინააღმდეგ კამპანიას აწარმოებს და სხვათა შორის, ამ დროს “ქართული ოცნებისთვისაც” მიუღებელი ვარ, როგორი კომფორტული პოლიტიკური პოზიცია მიპოვია თურმე იმისთვის, რომ გამემყარებინა ჩემი სკამი. მთელი პოლიტიკური სპექტრი გაერთიანდა ჩემს წინააღმდეგ. ეს რანაირად არის კომფორტული პოზიცია, ან მყარი პოზიცია რანაირად არის? არანაირად. მე არც მანამდე ვყოფილვარ დაპირისპირებაში და არც ახლა არ ვარ, მაგრამ არის რაღაც, რასაც ჰქვია პრინციპები”, – განაცხადა მარგველაშვილმა.

მოკლედ, კერიასთან ნაცრის ისეთი კორიანტელი დააყენა თანამედროვე ყვარყვარემ, რომ ათ მეტრზე მაინც არაფერი ჩანდა.

მარგველაშვილი საოცარ უფლებებს ითხოვდა და მას სურდა ყოფილიყო პრემიერის უფროსიც, თუმცა, მას ეს უფლებები კონსტიტუციით არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე, საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი მიიჩნევს, რომ მარგველაშვილმა გადაწყვიტა ზეგავლენის მოხდენა სასამართლო სისტემაზე.

თავის ერთ-ერთ ტელეინტერვიუში, ყოველივე ამის თაობაზე, ივანიშვილმა განაცხადა: **“არ უნდა ჩაერიოს ხელისუფლების არც ერთი შტო სასამართლოს საქმიანობაში. სასამართლო თვითონ არის ხელისუფლების ერთ-ერთი ნაწილი. ეს მოვახერხეთ ჩვენ და ჩემი აზრით, რაც ხდება დღეს მურუსიძის თემასთან დაკავშირებით, სწორედ რომ დაირღვა ის, რასაც მე ვცდილობდი არ დარღვეულიყო.**

ხელისუფლების ნაწილმა და პრეზიდენტი არის ხელისუფლების ნაწილი, აშკარად გამოკვეთილად დაიწყო სასამართლოზე ზეგავლენის მოპოვების მცდელობა. სწორედ რომ პრეზიდენტმა, რომელმაც დასაწყისშივე, მოსვლისთანავე და ჩვენი პოლემიკის და დაპირისპირების მიზეზიც, თუ გნებავთ ეს იყო, მოისურვა სააკაშვილზე მეტი ხელისუფლება. თავის დროზე უსუფაშვილს 7-ჯერ დავაწერინეთ კონსტიტუცია თუ რა უფლებები შეიძლება ჰქონოდა პრეზიდენტს საპარლამენტო რესპუბლიკაში.

პრეზიდენტმა შვიდივეზე უარი თქვა და რაღაც საოცრებებს ითხოვდა და ის, რომ პრეზიდენტმა მოახერხა საკუთარ გუნდთან დაპირისპირება, მიზეზი სწორედ ეს გახლავთ, რომ მას უნდოდა უფროსი ყოფილიყო ამ გუნდის. მას სურდა ყოფილიყო პრემიერის უფროსიც და ეკარნახა.

ამის მაგალითები ბევრია. ამას ვერ ახერხებდა და ამ პროცესში სასამართლოზე გადაწყვიტა ზეგავლენის მოხდენა. ამას ემსახურება ახლა მურუსიძის პროცესი”.

ახლა ეს წინდისმქსოველი შარვლიანი პენელოპა პირზე ქაფმოდებული რომ ამტკიცებს **“ნაცდაშნაკებს”** არ თანავუგრძნობ, მის ყოველ საქციელში ხომ სწორედაც რომ ავადსახსენებელი ნაცების ინტერესების დაცვა გამოსჭვივის! ავიღოთ თუნდაც **“რუსთავი-2”**-თან დაკავშირებული დავა. მარგველაშვილს რომ თავის დროზე დაემტკიცებინა კანონი საკუთრების თაობაზე და ფორა არ მიეცა ასევე ნაცინტერესების ღიად გამტარებელ საკონსტუტუციო სასამართლოსათვის, **“რუსთავი-2”** ახლა მისი კანონიერი მფლობელის ხელში იქნებოდა და არა **“პირფანჩარა გვარამიასი”,** რა სახელითაც იგი ბატონმა დავით ქობალიამ მონათლა.

ვერც სისხლის სამართლის დამნაშავე ლევან მურუსიძის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ არჩევის საქმეში გამოავლინა მარგველაშვილმა პრინციპულობა.

მოკლე, როგორც იტყვიან – **“საითაც გაიქცა, იქ წაიქცა”!**

არც იმაზე არ ძრავს კრინტს, სისხლის სამართლის დამნაშავე თავისი **“ცოლისძმა”** ვადაზე ადრე რომ გაანთავისუფლა საპატიმროდან!

ბოლოს იმით შეეცადა საკუთარი მიწასთან გასწორებული რეიტინგის გადარჩენას, რომ მიუხედავად საზოგადოების არაჯანსაღად მოაზროვნე ნაწილის შუამდგომლობისა, მაინც არ შეიწყალა სახელმწიფო სახსრების დიდი რაოდენობით მითვისებაში მხილებული ყოფილი მერი გიგი უგულავა. მაგრამ, არა მგონია, რომ ამან გადაარჩინოს ძალაუფლებას ესოდენ მოწყურებული ფსიქოლოგი-მხედართმთავარი ყვარყვარე, რომელიც საომარ ტაქტიკასა და სტრატეგიაში ბევრად უფრო ნაკლები ცოდნა და ალღო გააჩნია, ვიდრე ჭეშმარიტი მხედართმთავრის ცხენს და ყაისნაღს უფრო მარჯვედ ხმარობს, ვიდრე ორლესულს.

იქნებ ახლა მაინც შეიგნოს ამ წინდების მქსოველმა **“კარალევა მარგომ”,** რომ თუ ბადრიჯანს ფრთები გამოუვა, იგი მაინც არ ჩაითვლება მერცხლად და ვერასოდეს შეინავარდებს ზეცაში!

ისე, ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის წევრების მიამიტობის გამკვირვებია – ავადსახსენებელი **“თავისუფლების ინსტიტუტის”** ერთ-ერთი დამფუძნებელი მარგველაშვილი რომ ლატენტური (ფარული) ნაციონალი იქნებოდა, ამაში რატომ არ უნდა შეპარვოდათ ეჭვი? მაგრამ აქაც წარმოიშობა ვერსია, რომ მარგველაშვილი ამერიკელებმა **“სპეციალურად შეტენეს”** ივანიშვილს, რათა ნაციონალებს გარკვეული მხარდამჭერი ძალა ჰყოლოდათ **“ქართული ოცნების”** ხელისუფლებაში.

გიორგი მარგველაშვილს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ის ქვეყნის პრეზიდენტი გახდა კაცის კაცობით – ბიძინა ივანიშვილის კაცობით. დიახ, ჩვენ პრეზიდენტად ავირჩიეთ კაცის კაცი, და ეს ცოდვა არ მოგვასვენებს მინამ, ვიდრე ეს მართლაც ყვარყვარე, თავისი წინამორბედის, მიხეილ სააკიანცის მიერ ჩვენი სახსრებით აგებულ **“რაიხსტაგში”** იქნება გამოჯგიმული ალშვანგის ნოქარივით!

ამიტომ, ჩემის აზრით, უპრიანი იქნება, რომ წერილი დავამთავრო ჩემო პედაგოგისა და მეგობრის, შესანიშნავი ქართველი მწერლისა და ჟურნალისტის, უადრესად პრინციპული და ფხიზელი ამომრჩევლის ბატონ **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐᲡ** ერთი ლექს-სათრეველათი:

ᲒᲐᲜᲡᲯᲐ ᲒᲝᲜᲘᲕᲠᲣᲚᲘ

ამომრჩეველისა და არა-ამო მრჩეველისაგან მის მაღალაღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ:

ზოგ-ზოგების ლიქნითა და ხიცინით,
სამართალთან კმარა კუდის ქიცინი.
ანეკდოტურ კენჭისყრისთვის – სიცილით
გავისტუმროთ საბჭო იუსტიციის!
წაღმართისკენ მხოლოდ ასე წარვმართავთ,
მავანთაგან გამრუდებულ სამართალს!

მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მარგველაშვილის გამრუდებული სამართალი არასდროს გასწორდება, რადგან, როგორც ჩვენი წინაპრები ამბობდნენ: “არ განესწორების კუდი ძაღლისა, ვერცა კირჩხიბი მართლად ვალს”!

ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐ,
გაზეთ “ᲝᲚᲝᲠᲘᲡ” მთავარი რედაქტორი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ ბიორგი ჯალაღანიას

ესე ამბავი რისკის ამბავისა

აგერ, სულ ახალი ამბავი, რომელიც არაოფიციალურად ადრევე ვიცოდით: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მოგებისთვის სარგო პრემიები შეუმცირა გუნდებს. რა თქმა უნდა, პრემიის ადრესატებს ეს არ გაახარებდათ, მაგრამ არა მგონია, ეს ტრაგედია იყოს. ბოლოს და ბოლოს, ბევრ ქვეყანაში მოგებისთვის საერთოდ არ იღებენ ფულს და ფეხბურთს მაინც თამაშობენ.

ეროვნულ ლიგაში პრემიალურები შემცირდა – რამდენს მიიღებენ კლუბები მოგებაზე

ჩემთვის მთავარი ამ ამბავში ეს არის – ვიღაც, სადღაც, იქნებ **"ძალიან ზემოთაც"** კი, მიხვდა, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს, რაღაც სხვანაირად უნდა გაკეთდეს, თორემ სახელმწიფოს მართლა ძალიან დროული და ძალიან დიდი დახმარება შეიძლება ისე ვერ წაადგეს ჩვენს ფეხბურთს, როგორც აქამდე წარმოგვედგინა.

არადა, არ შეიძლება, ასე მოხდეს. არ შეიძლება, რადგან ეს ქართული ფეხბურთის გადასარჩენად მოგონილი ერთგვარი **"შოკური თერაპია"** იქნებ ერთ-ერთი ბოლო შანსიც კი იყოს ჩვენი საკლუბო ფეხბურთის ხსნისა.

თავიდანვე ვივარაუდეთ, რომ სახელმწიფოს დროულ ინიციატივას ქართული საფეხბურთო თემის მოზრდილი ნაწილი თავის თავზე მოირგებდა და ასე აგიხდეთ ყველაფერი კარგი – რის სპონსორი, რა კერძო მესაკუთრე, წამოსხდნენ ადგილებზე, უკვე თავიანთი სამუდამო კუთვნილება რომ ჰგონიათ და შესაშური სისწრაფითა და მადით ითვისებენ სახელმწიფო სუბსიდიებს.

და თუ ვინმეს სახელმწიფო მართლა მეწველი ძროხა ჰგონია, ძალიან ცდება. ცდება, რადგან იქ, იმ პირამიდის თავში, ნამდვილად არ სხედან ადვილად მოსატყუებელი ადამიანები. ამიტომ, თუ რაღაც არ შეიცვალა, თუ რეალურად არ დაიწყო ქართულ ფეხბურთში საქმის კეთება, ეს პროგრამა შეიძლება შეჩერდეს, ეს კი ჩვენი ფეხბურთის პარალიზებას გამოიწვევს, დღეს რომ ხელოვნურ სუნთქვაზეა მიერთებული.

მე იმდენად მიყვარს ფეხბურთი, ხმის გამღები როგორ ვარ და იქნებ ჩემი ეს სიყვარული ჩემს ოჯახსაც ეყოს. ბევრია ასეთი, მაგრამ ისეთებიც მოიძებნებიან ჩვენს ქვეყანაში, უკმაყოფილოდ რომ ჩაიქნევენ ხელს და დააყოლებენ – სულაც არ მინდა, ჩემი ფული, ის ფული, რომელსაც გადასახადების სახით სახელმწიფოს ვუხდი, ქართულ ფეხბურთში იხარჯებოდესო.

ყველას უნდა ახსოვდეს – ის ფული, რომელსაც დღეს ქართულ ფეხბურთში დასაქმებული ადამიანები, ფეხბურთელები, მწვრთნელები თუ სხვები იღებენ, არის სახელმწიფოს ფული. არადა, ისინი სახელმწიფო სამსახურში არ მუშაობენ. ეს არის მხოლოდ დროებითი ღონისძიება, რომლის არსსაც პირადად ჩვენ დროებით კი ვემხრობით, მაგრამ გვერწმუნეთ, სოლიდური გამოკითხვისმაგვარი რომ ჩატარდეს საქართველოში, მომხრეზე ნაკლები მოწინააღმდეგე ნაღდად არ ეყოლება.

რატომ უნდა ვარჩინო მე საშუალოზე დაბალი დონის ფეხბურთელი, რომელიც მხოლოდ საკუთარ წვენში იხარშება და საერთაშორისო ასპარეზზე ვერაფერს აღწევს? – აი, ასეთია იმათი ლოგიკა, ვინც სახელმწიფოს მხრიდან ქართული ფეხბურთის პირდაპირი დაფინანსების მოწინააღმდეგეა და, გინდა თუ არა, უნდა აღიარო, რომ ამ მიდგომაში არის სიმართლის მარცვალი.

კარგი, დღეს ასეთი ვითარებაა, მაგრამ დიდი სიბრძნე და გამჭრიახობა არ უნდა იმას, რომ ქართული ფეხბურთი მუდმივად ვერ დარჩება, გვაპატიეთ და, მათხოვრის როლში. ის ხალხი კი, ვინც ჩვენი ფეხბურთი ასეთ მდგომარეობაში არ უნდა დატოვოს, ჯერჯერობით არ ჩანს...

ერთი სიტყვით – თუ მოკლე ხანში ქართულ ფეხბურთს არ გამოუჩნდა კერძო მესაკუთრეთა ახალი კასტა, დაღუპულია ეს ყველაფერი, ჩაილურის წყალს დალევს სახელმწიფო პროგრამაც და მისი შემოქმედებიც, უნდათ თუ არა მათ ეს, სულ მცირე, უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდებიან.

ფაქტია, გამოსავალია მოსაძებნი. სიტუაცია იმდენად სპეციფიკური და მრავალწახნაგოვანია, რომ დაწერილი წესებით თამაში ჭირს. ახლა ხომ ძმიმე მდგომარეობაა და უფრო მძიმე იქნება მომავალში, თუ ვითარება კარდინალურად არ შევცვალეთ.

რა უნდა ქნას ფედერაციამ?

მართლაც და, რა უნდა ქნას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ? ძალიან ხშირად ხდება ხოლმე, რომ კრიტიკის მთქმელი პასუხისმგებლობისგან თავისუფალია. ის პეპლის სიმსუბუქით აფრქვევს იდეებს. პასუხისმგებლობა კი იმისია, ვინც გადაწყვეტილებას იღებს.

მე რომ ვუყურებ, დიდი რისკის გარეშე არაფერი გამოვა. ოღონდ ყველაფერი ძალიან მაგრად და ბოლომდე უნდა იყოს გათვლილი. თავი და ბოლო ამ გამოსავლისა კი ქართულ საკლუბო ფეხბურთში კერძო სექტორის განვითარება და წინ წამოწევა უნდა იყოს.

გამორიცხულია, საკლუბო ფეხბურთს ეშველოს მანამ, სანამ უმაღლეს და პირველ ლიგაში მოთამაშე ყველა კლუბი კერძო მფლობელობაში არ იქნება. პროცესი თითქოს დაიძრა, მაგრამ ძალიან ნელა მიდის და თუ ამ ტემპებით იარა, დიდი შანსია, სახელმწიფო პროგრამამ მის დასრულებამდე ვერც მიატანოს.

ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხრა ამას წინათ – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის ადგილას რომ ვიყო, დავუძახებდი იმ ბიზნესმენებს, ქართულ ფეხბურთში ჯერაც რომ შერჩათ ფულის ჩადების სურვილი და უმაღლეს ლიგაში მხოლოდ იმ კლუბებს ვათამაშებდი, კერძო მესაკუთრე რომ ჰყავთო.

ძალიან, ძალიან არაპოპულარული გამოსავალია და ზუსტად ვიცი, რომ ბევრი გაგვიბრაზდება. ან როგორ გინდა, არ გაგიბრაზდეს – ფეხბურთი ხომ ყველასია? კი ბატონო, მაგრამ საკითხავია ისიც, სჭირდება თუ არა ვინმეს ისეთი ქართული ფეხბურთი, როგორიც დღეს არის?

რისკს კი მაინც ვერ ავცდებით – სხვანაირად უბრალოდ იქვე დავრჩებით, სადაც ვართ. ეს კი კატასტროფის ტოლფასია. კი, დღეს მიმზიდველად მოჩანს ყველაფერი, მაგრამ რა იქნება მერე, სახელმწიფოს დონორობა რომ მოსწყინდება?

მთავარი კი მაინც ესაა – ვერა და ვერ მოვიდა მასობრივად ჩვენს ფეხბურთში საქმის მკეთებელი ხალხი. ძველების გაკეთებულს ვხედავთ – რომ არა იმ საქმეების შედეგები, ვფიქრობთ, დღეს გაცილებით უკეთესი მდგომარეობა გვექნებოდა.

ახალი ხალხი, ახალი სისხლი, რისკის კაცები, სუფთა კაცები – ქართული ფეხბურთი ამათ მოლოდინშია. ძნელია? რა თქმა უნდა! იოლი ისაა, დინებას მიჰყვე, როგორც დღეს მივყვებით. ასე კი აღარ შეიძლება, რადგან ეს უეჭველ კატასტროფას გვიქადის.

თავიდან ძალიან მიხაროდა, სახელმწიფოს ფული რომ გამოჩნდა ქართულ ფეხბურთში – ბევრი ახალი გუნდი დაეტყო ჩვენს საფეხბურთო რუკას. ახლა რომ ვუყურებ, ნაადრევი ყოფილა ეს სიხარული და იმ ახალ ხალხს, ჩვენს ფეხბურთში რომ გამოჩნდა ახალი გუნდებით, უფრო ფული ნდომებია, ვიდრე ნაღდი საფეხბურთო პროგრესი.

არადა, თუნდაც ჩვენი, გვარიანად გაახალგაზრდავებული უმაღლესი ლიგა საიდანმე ხომ უნდა საზრდოობდეს? მასაზრდოებელი კი არ ჩანს. პირველი ლიგა **"დაბერდა"**, ასევე **"დაბერდნენ"** დაბალი დივიზიონები, ეზოს ფეხბურთი კი მკვდარია.

მხოლოდ რამდენიმე კლუბის თუნდაც კარგი აკადემია საკმარისი არ არის. კერძო მფლობელი კი თუნდაც მხოლოდ იმით არის კარგი და მისაღები, რომ ხვალინდელი ქათამი ურჩევნია დღევანდელ კვერცხს...

სპეციალური განცხადება

როგორც ცნობილი გახდა, "ილორს" შეექმნა ფინანსური პრობლემები, რამაც გამოიწვია მისი გამოცემის პერიოდულობის გაზრდა. როგორც თქვენთვის კარგად არის ცნობილი, გაზეთი არ ტოვებს ყურადღების გარეშე არცერთ საჭირბოროტო საკითხს, ის მუდამ ქვეყანაში მიმდინარე სოციალური-პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში იმყოფება! მან დაიმსახურა მკითხველი საზოგადოების პატივისცემა და დიდი სიყვარული! ამიტომ მოგმართავთ თხოვნით და შემომაქვს წინადადება, რათა, ჩვენ მკითხველი საზოგადოება დავუდგეთ გაზეთს გვერდში და ვისაც რის საშუალება გვექნება, გავუწიოთ ფინანსური დახმარება!

მსურველებისათვის ასევე განვათავსებთ რეკლამებს შედავათიან ფასებში,

ამისათვის გთავაზობთ საბანკო ანგარიშს, რომელზეც შესაძლებელი იქნება, ნებისმიერი მსურველის მიერ, ნებისმიერი თანხის ჩარიცხვა! ნათქვამია: „კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების". ასე, რომ ჯერი ჩვენზეა!

პატივისცემით,

ანზორი დანელია

ტელ. 571 22 66 34

საბანკო ანგარიში:

ს.ს „ლიბერთი ბანკი"

ანგარიშის ნომერი: GE79LB0711188020717000

ანგარიშის ვალუტაში: GEL / USD / EUR – მულტი სავალუტო ანგარიში

მფო: 220101480

მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"

ი. ჭავჭავაძის გამზირი 74

თბილისი, 0162, საქართველო

მიმღები ბანკის swift კოდი: LBRTGE22

ანგარიშის მფლობელი (მიმღები): ანზორი დანელია

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს ჩანაფიქრს უწერია განხორციელება და მგონი კეთილი ხალხის ნაკლებობას საქართველო არ განიცდის, მინდა წინასწარ განვაცხადო: ჩვენი საქველმოქმედო აქციის დაწყებიდან, ყოველი სამი თვის გასვლის შემდეგ, გაზეთის ფურცლებზე, თანხის შემომწირველთა თანხმობის შემთხვევაში, ჩემს მიერ იქნება წარმოდგენილი სრული ინფორმაცია თანხის შემომწირველებისა და შემოწირული თანხის ოდენობის შესახებ!

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში მერაბ კოსტავას სახელობის სკვერი და ბიუსტი გაიხსნა

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში, მერაბ კოსტავას დედულეთში, მისი სახელობის სკვერი და ბიუსტი გაიხსნა. იდეა რაიონის საკრებულოს თავმჯდომარეს ეკუთვნის, მისი განმახორციელებელი კი თვითნასწავლი მხატვარი დემურ ანთიაა.

როგორც "ინტერპრესნიუსის" კორესპონდენტი იუწყება, ბიუსტის გახსნის შემდეგ სოფელში საზეიმო ღონისძიებები მოეწყო, გაიმართა შეჯიბრი ჭიდაობაში და სიმღერისა და ცეკვის ადგილობრივი ანსამბლების კონცერტი.

იუმორი

ნარკომანი, მეხანძრე და სადისტი ერთ საკანში სხედან. ნარკომანი ამბობს:

– ერთი მომაწევინა!

მეხანძრე:

– ნეტა მე ჩამაქრობინა.

სადისტი:

– შენს მოტვლეპილ თავზე!

* * *

გურული თანმშრომლის დაკრძალვაზე კახეთში ჩავიდა. მშობლიურ კუთხეში მწირ ქელეხებს მიჩვეული, სადაც ძირითადად ხალხს ლობიოთი, ბოლომდრ დაუძმარებელი მჟავეთი და და მხალით უმასპინძლდებიან, გაკვირვებული გასცქეროდა სუფრაზე დახვავებულ ხორაგს. ქელეხის დასასრულს ხაშლამით კარგად გამძღარმა და კახური ღვინით შეზარხოშებულმა გურულმა ჩაილაპარაკა:

– ა, ძამა, სად უნდა კვდებოდეს ხალხი.

* * *

– სად ისწავლეთ ასეთი მყრალი გინება, ახალგაზრდავ?

– ამის სწავლა არ შეიძლება, ეს მომადლებული ნიჭია!

სასწაულმოქმედი პრეპარატები "დომენტოლი" და "გაგენოლი" უდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930

234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge